

ფილიპ ნიშანანი ზრეული ჟივეები

თარგმანი:

კონსტანტინე გამსახურდიასი



ვოლტ უილმანი.

ვოლტ უიტმანი—მოგავლის პოეტი.

I.

ვოლტ უიტმანი უცხო სტუმარია არა მარტო ქართულ პოეზიაში, თვით ევროპაშიაც. ევროპა დღემდის ორ დიდ ამერიკელს იცნობდა კარგად: ედგარ პოს—პოეტს, ნოველისტს, ვალდო რაპ ემერსონს, —ფილოსოფოსს, კარლაილის დიდს მოწაფეს. ახალგაზდა, ძლიერი ამერიკა უმეტესად მაშინებს, იარაღს, ტექნიკურ ხელსაწყოს უგზავნიდა ევროპას. ამერიკა სულ სხვა ფენომენია, ვიდრე ევროპა. ეს ზენაციონალური კონგლომერატია ერებისა და რასებისა. დღე-დღეზე ძლიერდება ეს ხალხი. კაბუკი ამირანივით დღეების და თვეების ნაცვლად წლობით იზრდება. უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში ხდება ამერიკის ნაციონალურ მთლიანობად ჩამოყალიბება. გოლიათური ინდუსტრია. დიდი სტილის კაპიტალიზმი.

ისინი, ვინც ამერიკაში ევროპის დიდ მეტოქეს ხედავენ, გულმოდგინეთ სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამერიკას თუმცა ცივილიზაცია და ტექნიკა მოეპოება, მაგრამ სული და კულტურა არა აქვს და არც მერმისში ექნებაო. ცხადია, ეს ბეცი დოგმატიკოსების, ახირებული „ევროპის პატრიოტების“ მოგონილი ამბავია. კულტურა და ცივილიზაცია — ორი განუყრელი დაა, ერთისა და იმავე მედალის — ორი სხვა და სხვა მხარე, ერთისა და იმავე კერპის — ორმაგი ნიღაბი. ამის საბუთად მარტო ვოლტ უიტმანის პოეზია გამოდგება. ეს დიდი, უტრადიციო პოეტი დღეს

გაცილებით მეტ გავლენას ახდენს კულტურულ ადამიანობის ფანტაზიაზე, მის პოეტურ ემოციებზე, ვიდრე ვერჰარენ, არნო ჰოლცი, ვალერი დარბო ან სხვა რომელიმე თანამედროვე ევროპელი პოეტი. ვოტ უიტმანს მრავალი მიმდევარი ჰყავს დღესაც გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში. მისი ზეგავლენა დღითიდღე იზრდება ევროპაში.

მსოფლიო ომიდან სრულიად ახალი ციკლი იწყება მსოფლიო ისტორიაში. ყოველ დიდ პოლიტიკურ კატასტროფას დიდი სულიერი გადატეხა მოჰყვლია მუდამ. ომამდის დასავლეთის პოეზიის სანიშნოები იყო: დეკადენტობა, ესთეტიციზმი და პესიმიზმი.

შოპენჰაუერის და ჰარტმანის პესიმისტური სულიერი განწყობილება, მსოფლიო გლოვა ჰქროდა გასული საუკუნის პოეზიის ალამდარების: ჰუგო ჰოფმან სტალის, სტეფან გეორგეს, სტეფან მალარმეს, რაინერ მარია რილკეს, ვერლენის, დ'ანუნციოს, იენს-პეტერ იაკობსენის ქმნილებებში—1914—18 წლების სისხლის ღვრამ კვლავ მოაწყურა კაცობრიობას ოპტიმისტური, ჯანსაღი ჩანგის ქლერა. და სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც თანამედროვე დასავლეთი უიტმანის მიმართ იჩენს.

ვოლტ უიტმანი—მოულოდნელობის პოეტია.

პოეტი ახალი, ძლიერი მომავლისა.

იგი უარყოფს ტრადიციონალურ პოეტურ ფორმებს, სწერს ისე, როგორც მოეპრიანება მის ნიაველვარივით თავნება ბუნებას.

მწერლობაში უპირველესი საკითხია—სტილი, რადგან სტილია თვითმეტყველი ადამიანის ანი და ჰოიე.

უიტმანის სტილიც ისევე თავისებურია, როგორც მისი იდეები.

ევროპის მოთენთილ, დეკადენტურ, ძველი კულტურით დატვირთულ პოეზიასთან შედარებით, უიტმანის სიძღერა ამერიკის ვრცელი პამპასებიდან მოვარდნილი ველურის ძახილია. რიჟრაჟს უყვიის სულითა და ხორციით ძლიერი, მიწიერ შევენებით ალტყინებული პოეტი, ადამიანების, ცხოველების, მცენარეების წიაღში ყოფნით გახარებული ენტუზიასტი.

უიტმანი მღერის მიწის მარადიულ შევენებაზე, მღერის სიკვდილსა და სიყვარულზე, დიდი ქალაქის ელექტროს აისებზე. პოეტი ურბანისტი—მაინც რუსოსსებური მიამიტი ბუნების მოსიყვარულე. მისთვის უცხოა ლეოპარდის ან ნოვალისის მსოფლიო პესიმიზმი, ბოდლერის ან ვერლენის ნერვიული ჰიპოხონდრია, სტეფან გეორგეს ან დ'ანუნციოს „რჩეულთა პოეზია“.

წამიერება, როგორც ერთი რგოლი უკუნეთის უსრულო გარსში. და უიტმანს არ უნდა ეს წამიც დაჰკარგოს. ამიტომაც მის პოეტურ მეტყველებას არ ემჩნევა ის გადაქარბებული სიმკვევრე, გადამეტებული „ხელოვნურობა“, ყალბი რეტორიკა, რომელსაც დაკვირვებულ თვალი ადვილად ამჩნევს თანამედროვე ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის პოეზიაში.

„ვოლტ უიტმანი—კოსმოსი მთელი, ვარ მანჰატანის მძლე ნაშიერი“.

უიტმანი უარყოფს ძველ თეორიას პოეტების ზებუნებრივ წარმოშობის შესახებ. ამავე ლექსში პოეტი აღიარებს: იგი „ამ კაცებს, ამ ქალებს არ იუკადრისებს, მაგრამ მათ შორის მაინც არა სდგას“.

პოეტს ადამიანების ანხანაგად, თანატოლად მოაქვს თავი და მღერის: „მინდა გავხადო კონტინენტი განუყოფელი, ულამაზესი რასსა შეექნა ამ ქვეყანაზე“.

ეს ყველაფერი ამხანაგების მაგნეტური სიყვარულით-
 უიტმანს სწყურია ამხანაგობის დამკვიდრება კაცთა შო-
 რის, ამერიკის მდინარეების გაღმა-გამოღმა, რადგან იგი
 უმღერის რწმენას, თავისუფლებას, პროგრესს, ერთობას,
 თანადროულობას, იგივეობას. მას, როგორც ამერიკელს,
 არა აქვს წარსულის რომანტიზმი, იგი მარადიული პრო-
 გრესის, ადამიანური კავშირის, ახალი ორგანიზაციული
 კულტურის და ახალ გამოგონებათა პოეტია. აღმოსავლეთი,
 დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი, ვიწრო ზონები,
 თართე ზონები, თეთრი, შავი და წითელი რასები — ყვე-
 ლა სიყვარულით და სათნოებით აღსავსეა. მისი სალამი
 სამყაროს შედევრია, ამ დიადი კოსმოპოლიტური გრძნო-
 ბით გაჟღენთილი. ეს ის იდეებია, „თავისუფლება“, ძმო-
 ბა, ერთობის“ სახით რომ გადაისროლა ეპოქალურ ლო-
 ზუნგად საფრანგეთის რევოლიუციამ. უიტმანის დიდი
 ჰუმანიურობა, კაცთმოყვარეობა, ბუნების სიყვარული ოდ-
 ნავ რუსსოს ბუნებისადმი უკუქცევას მოგვაგონებს, მაგრამ
 „ახალი ელოიზეს“ და „აღსარების“ ავტორისაგან უიტ-
 მანი არსებითად განსხვავდება. რუსსო უარყოფითად ექ-
 ცეოდა როგორც კაპიტალისტურ ცივილიზაციის გაძლი-
 ერებას დასავლეთში, ისე საერთოდ მთელ ცივილიზაციურ
 პროგრესს. რუსსო უარყოფითად ექცეოდა ქალაქურ
 კულტურას, იგი სოფლური, პირველ-ყოფილი მიამიტო-
 ბისაკენ ეძახდა კულტურულ ადამიანობას. უიტმანი
 უმღერის ამერიკის ვრცელ პრერიებს, სტეპებს და პამპა-
 სებს, პარალელურად ურბანისტული პოეზიის ტონებიც
 გაისმის მის პოემებში. მას სწამს კულტურის და მეცნიე-
 რების, ტექნიკისა და ცივილიზაციის პროგრესი, მაგრამ
 ამ პროგრესს ჰუმანიური ურთიერთი განწყობილების, თა-

ნასწორობის, ძმობა-ერთობის პრინციპები უნდა ჰქონდეს სარჩულად.

უიტმანის დამოკიდებულება პროგრესიული ცივილიზაციისადმი არსებითად განსხვავებულია „განათლებულ ფილისტერების“ *) ცივილიზაციურ ტრაბახაგან.

განათლებული ფილისტერი ევროპისა და ამერიკის ცივილიზაციის ბრძევიალა, რეკლამურ მხარეებს ჰხედავს, იგი მედალის ცალ მხარეს ამჩნევს მხოლოდ. სწორედ იმას, რაც დროულია და წარმატალი. და ცივილიზაცია ამაოა, თუ მას ჰუმანიტარული დედა-აზრი არ ძოეპოება. პოეტი აღიარებს, რომ ამ ინდუსტრიულ ქალაქებს, ამ კონსტიტუციებს, ამ ჰოტელებს, ამ რკინისგზებს, ამ ციხეებს, ამ ზარბაზნებს საბოლოო, მორალური ღირებულება არა აქვს; ეს მხოლოდ დეკორაციაა და ყველაფერი კარგია და მშვენიერი, „ვიდრემდის გამომწვევი ნაპერწკალი არ იელვებს“.

უდიდესი ქალაქი ის არის, რომელიც დიდ ადამიანებს გაზრდის და რამდენიმე საცოდავი ქობმახისაგან შემდგარი სოფელიც „უდიდესი ქალაქი“ იქნება, თუ მან დიდი ადამიანი წარმოშვა. უიტმანის აზრი, როგორც ვხედავთ, დიამეტრალურად დაპირისპირებულია შპენგლერისებურ ურბანიზმთან. ოსვალდ შპენგლერმა მთელი ქვეყანა ორ შეურიგებელ ბანაკად დაჰყო: დიდი ქალაქი და მსოფლიო პროვინცია. კულტურის და ცივილიზაციის წინამძღვარია: დიდი ქალაქი. უიტმანი დადებითად უცქერის როგორც ქალაქს, ისე მსოფლიო პროვინციას. როგორც ვხედავთ, უიტმანი რუსსოსა და შპენგლერს შორის სდგას. ამაყი, დამოუკიდებელი, ბუნების მოყვარული, თავისუფალი ადამიანი,—ეს არის უიტმანის იდეალი.

*) ნიცშეს ტერმინია.

პოეტი პრერიებში დახეტიალობს და უძახის თავის თანატოლს: მზით დამწვარ, ბრგე, ალტაცებულ, თამამ, ნებისყოფით ძლიერ მზემოკიდებულ ადამიანს, რომელიც, პრეზიდენტსაც რომ შეხედეს, თავხედურად შეაგებებს: „შენ ვინა ბრძანდები?“ (ლექსი: „პრერიებში გავლილს“).

დილით ადრე ამდგარი პოეტი თავის თავს ადამს ადარებს და სიხარულით ევსება გული, რომ მისი სხეული ჯანსაღია და შეურყვნელი (ლექსი: „როგორც ადამი“).

უიტმანი ალტაცებულია ადამიანის სხეულისაგანაც. მას უყვარს ადამიანი, ადამიტური, ვნებიანი, „მსმელი, მკამელი“, „ვნებით მთვრალი“, ამ დიდი ბუნების სასწაულით ალტაცებული; ასეთი ადამიანებისთვის ქმნელობის ქურაში იტანჯებოდა დედამიწა ქვინტილიონი წლების განმავლობაში. მისთვის მღერიან ცის მნათობები ეთერის უსაზღვრო, თვალუწვდენელ რეგიონებში. ამნაირი ადამიანის თავი მრავალ სასწაულის შემცველი მანქანაა: იდეებით, ალტაცებით, სიყვარულით, გმირობით „საფსე“.

ეს საოცრად მოწყობილი ელასტიური სახსრები, ეს შეუცნობი და გასაოცარი სისხლის მოძრაობა. „ასეთი მამაკაცი, ასეთი დედაკაცი“ განცვიფრების და სიყვარულის ღირსია.

„თქვენ თუ გინახავთ ვინმე შლეგი ამ ქვეყანაზე, ასეთი ტანი რომ წასწყმიდა, დაამახინჯა“?

მაღალი, ჰუმანიური გრძნობით გაელენთილია. მისი ლექსი: „და მესმის, ერთ დღეს მომითხრობდა ამ ამბავს დედა“... სრულიად უბრალო სიუჟეტი აქვს ამ ლექსს. პოეტის დედას ეწვევა წითელკანიანი ქალი. იგი მშვენიერი ექვმპლარია ადამიანთა შორის. ტანად ახოვანი, მდიდარი, ბრწყინვალე ნაწნავებიანი. პოეტის დედა: ალტაცებულია ინდიანელ ქალით. საღამოს ქალი მიდის. პოეტის

დედა ფიქრობს: სად წავიდა ის მშვენიერი?... იგონებს ტკბილად მის ტანს, მის სახეს, მის აღნაგობას და მიხვრამოხვრამს.

ჩვენთვის ეს ბუნებრივია. მაგრამ ეს სტრიქონები დაწერილია 50 წლის წინად, ამერიკელი პოეტის მიერ, აშერიკაში, სადაც დღესაც ათასობით, ტყვიისმფრქვეველებით სცელავენ წითელ-კანიანებს რესპუბლიკანური ამერიკის ჯარი და პოლიცია... „დემოკრატიზმის და კულტურის“ სახელით.

ხორციელობის აპოლოგიაა პოემები: „28 ახალგაზდა ბანაობს“, „ვიცნობდი ერთ კაცს“, „ვხედავ, დედაკაცი შიშველი ცურავს“. მოყვასის სიყვარულის და კაცთ-მოყვარეობის გრძნობით გამთბარია: „ქალაქის მიცვალებულთა სახლში.“

მეძავი ქალის ცხედარს ჰხედავს პოეტი ქალაქის მიცვალებულთა სახლში. საოცარი აზრები აღედგრის ამ განადგურებულ, „თვალე-გამოლამებულ“ ქალის სხეულის დანახვაზე. ოდესღაც სიცოცხლით, ვნებით, ცოდვებით სავსე სულის „სახლი“ — სხეული სიკვდილს გაუნადგურებია... საკვდილი და სიცოცხლე შეუცნობი, საოცარი ფეხომეწე-ბია ბუნებასა და ცხოვრებაში. პოეტიც ორივეს უმღერის, რადგან ორივე ისე მიუცილებელია, როგორც მთა და ბარი, ჩრდილი და სინათლე, სითბო და სიცივე. და გრადაცია სიცოცხლის და გამძლეობის ენერჯისა. როგორც ყოველ დიდ პანტეისტს, უიტმანსაც არა სწამს სიკვდილი: ყოველივე ყველაფერში ერთდება. ყველაფერი მარადიულის მოდიფიკაციაა. და ეს სახეცვლა, ერთის—ათასად ქცევა და ათასის—ერთ ჰარმონიულ მთლიანობად გადაქმნა, — აი სიკვდილ-სიცოცხლის ღრმა მისტერია („მკითხავდა ბავშვი: „რაა ბალახი?“).

ამ გამოცემაში ჩვენ გამოვტოვეთ ზოგიერთი ლექსი მისი წიგნიდან „Blade of grass“ („ბალახის ფოთოლი“), რადგან ყოველ პოეტს აქვს ისეთი ლექსები, რომელნიც სხვა ენაზე გადათარგმნილი სრულიად უფერული ხდებიან. თუმცა უიტმანის პოეზიას იმდენად კოსმოპოლიტური კოლორიტი აქვს, რომ ზოგადად აღებული ისინი თარგმანში მინიმალურ ცვლილებას განიცდიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უიტმანის პოემები და ლექსები არსებითად განსხვავდებიან ტრადიციულ ბოლორიტიანი, ასე ვთქვათ, ევროპულ ახალ ლექსისაგან*). იგი უარყოფს ბოლო-რიტიმას, რადგან ბოლო-რიტმა გრძნობის ხუნდებს ჰკმნის. მისი თავისებურობა სწორედ ეს თავნება, თავისუფალი, შეუზღუდველი, უტრადიციო გამოთქმაა. მისი ლექსი ხანდახან ბერძნულ მაღალ ტონიან დითირამბს უახლოვდება, მისი ჰამნების ენა ოდნავ წააგავს ნიცშეს, ან ჰოლდერლინის მდულარე, მქუხარე დითირამბებს. ისეთი ძლიერი გრძნობის ვულკანი იქმნება ამ სიმღერისგან, რომ მას ლექსის ფოლადის აპჯარიც ვერ დააოკებდა. ალაგ-ალაგ უიტმანის ლექსი პროზისკენ მიიწევს, ძლიერ უახლოვდება ბოდლერის „პროზაულ ლექსის“ ოდნავ მოდუნებულ ტემპერამენტს.

მაგალითისთვის ამ კრებულში მრავალთა შორის დამახასიათებელია მისი პოემა: „მომეცი ელვარე, ბრწყინვალე მზე“.

ამ პოემაში სჩანს პოეტის სიყვარული ბუნების ქალწულებრივ სილამაზისადმი, სოფლური იდილია, მარტობა ბუნების წიაღში, წყნარი, ზაფხულის ღამეების რო-

*) უიტმანის ახალი ლექსის თეორიას გერმანულ პოეზიაში გამოუჩნდა მიმდევარი, დიდი ლირიკოსი არნო ჰოლცი. ჰოლცი ითვლება ლირიკის რევოლუციის ავანგარდად გერმანულ პოეზიაში. კ. გ.

მანტიკა, ჯეჯილების საამო ბიზინი, ფლორისა და ფაუნის გასაოცარი გრადაციები. იმავე პოემაში პოეტი ეძებს ქალაქის მოუსვენარ ბორგვას, თანამედროვე ქუჩის აურზაურს, ქარხნების საყვირების ბლავილს, დიდი ქალაქის ურცელ ქუჩებში მოხეტიალეთა რბენას და მოძრაობას. „მასსების ეელურ ყიყინას, მილიონების ჩოჩქოლს და დრტვინვას“.

ვოლტ უიტმანი სამი წელი ომში დაქრილებს უვლიდა. სამხრეთის და ჩრდილოეთის შტატების ომში. იგი მონაწილეობას იღებდა, როგორც „დაქრილების. მესვეური“. ომის საშინელებამ გარდუვალი შთაბეჭდილება დასტოვა პოეტის ხსოვნაში.

პოემაში: „მე ვდარაჯობდი ბრძოლის ველზე“... იგი ხედავს, თუ როგორ ესალმება სიცოცხლეს ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ქაბუკი. პოეტის მოთქმა მოკლულის გვამთან პაციფისტურ გრძობებითაა გაჟღენთილი... უიტმანი პაციფისტია, რადგან ომი, მისი აზრით, ადამიანს უძვირფასესს და უქანასკნელ საუნჯეს—სიცოცხლეს უხშობს.

„მომავლის პოეტებო, ოქროპირებო, მომღერლებო, მომავლის მუსიკოსებო! დღეს-დღეობით თავს არ ვიმართლებ, ვერ გეტყვით, რატომ მოველ ამ ქვეყნად. აღსდევინ, ჰეი, ნორჩო თაობავ, მკლავით მაგარო, ატლეთიურო! აღსდექით ყველა და მე მინდა თქვენ გამამართლოთ. მე მიწერია ორიოდე სიტყვა სანიშნო, მომავლისათვის. სულ ერთი წუთით წამოვიწევი, რომ სამუდამოდ ბნელს მივეფარო“.

ათეული წლებზე ნიცშეზე ადრე ამერიკელი პოეტი ჰიმნების ენით უმღერის ფოლადის თაობას (ქვეყანა სულითა და ხორციით ძლიერების სამკვიდრებელია. აქედან: უიტმანის ადა-

მიტური ძლიერების აპოლოგია. (შეადარეთ ფრიდრიჰნიც-შეს ძლიერ ნებისყოფის აპოლოგიასა და ზეკაცის კულტს). ნიცშეზე აღრე აირჩია მან პოზიცია „ბოროტისა და კეთილის გადაღმა“.

ახალი, ძლიერი თაობის მეკვლე, მახარობელი!

დემოკრატიას „კოლს“ უწოდებს უიტმანი, რადგან დემოკრატიამ უნდა წარმოშვას ევროპისა და ამერიკის დიდი მომავალი. მომავალი ამ დემოკრატიას ეკუთვნის, ხალხის წიაღიდან გამოსულს, ნიჭიერს, გამძლე, სულითა და ხორცით ჯანსაღ ადამიანებს.

მას სწამს მილიონების შრომის წმინდა ევანგელია, და ახალი კაცობრიობა გვაროვნული ჰეროლდიკით როდი იამაყებს, არამედ შრომის ნაყოფიერებითა და ინტელექტის გამჭვირახობით. ძველი, გვაროვნული არისტოკრატია ახალმა აზროვნულმა არისტოკრატამ უნდა შესცვალოს. ევროპაში ამ ახალი „არისტოკრატისმის“ მახარობლები იყვნენ: გოეტე და ნიცშე.

უიტმანი თანასწორობას ქადაგებს არამარტო სოციალურ გარემოში, არამედ ბუნებაშიც. ყოველი არსი შემომქმედის პირშოა, ყოველი არსი ამ ქვეყნად სიყვარულის, დაკვირვების და განცვიფრების ღირსია. მისი პოეზიის პრიზმაში სამყარო ისე შვენიერია და უხრწნელი, როგორც შექმნის პირველსავე დღეს. მიტომაც „ადამიტური სიმღერების ავტორად მოაქვს თავი ვოლტ უიტმანს. განუზომელია მისი პოეზიის უნივერსალური მნიშვნელობა. უიტმანის დიდკაცური კოსმოპოლიტიზმი ძლიერ წააგავს გოეტეს კოსმოპოლიტიზმს.

„სამყარო, როგორც გაფართოებული სამშობლო!“.

ეს კოსმოპოლიტიზმი საუცხოვოთ განსახიერდა მის პოემაში—„სალამი სამყაროს“.

ყოვლის შემცვლელი სიყვარულის ცეცხლი ანთია უიტმანის გულში, იგი შილლერასებური წრფელი პათოსით მღერის: „ყელს მოგებხვევით, მილიონებო!“

უიტმანი თანაბარის სიწრფელით უმღერის, როგორც სიყვარულს, ისე სიკვდილსაც. რადგან სიყვარული—ეს შინაგანი სითბოა, პირველი ნაპერწკალი სიცოცხლის უმანკო ჩასახვისა, იგი ჰქმნის, ამოძრავებს, ამშვენებს ცხოვრებას. სიკვდილი წინასწარ დათქმული გარსის-დასრულება, სულის „სხვად ქცევა“ ყოველი არსის უსაზღვროების, მარადუბნობის წიალად დაბრუნება.

ამ წიგნში ქართველი მკითხველი გაეცნობა ამერიკელი პოეტის მაღალი, ჰუმანიურობის გრძნობით გასპეტაკებულ პოეზიას. და ქართველი ახალთაობაც გაიგონებს, „თუ როგორ მღერის დასავლეთში მარტოკა, ახალი ქვეყნისთვის“ ვოლტ უიტმანი.

კონსტანტინე გამსახურდია.

ტფილისი, 1925 წ. აპრილი.

*
* *

მე,—თევზის მსგავსი პავმანოკის
ვარ ნაშიერი.

სათნოდ შობილი, გამოზრდილი სრულყოფილ დედის;
მრავალი მხარე შემომივლია,
ხალხით მდიდარი ფილაქანის
ვარ მოყვარული.

მე ხან მანჰატტას—ჩემს ქალაქში

დავსიხლდებოდი, ან და სამხრეთის სავანეში,
ხან ჯარისკაცი ვიყავ ბანაკში, ხან ვატარებდი
თოფსა და ტორნისტს,

კალიფორნიის მაღაროში ოქროს
ვეძებდი,

ხან ველურივით ვბინადრობდი დაკოტას ტყეში,
ჩემი საკმელი იყო: ხორცი, ვსვამდი: მთის წყაროს.

ხან საფიქრელად, მოსაფიქრებლად თავს ვათარებდი
მე მყუდრო დარანს

და აურზაურს მოშორებულს, მშვიდად, საამოდ
მიისწრაფოდენ აღტაცებული შვების წუთები;

ახლაც ვიგონებ: მოჩუხჩუხე წყალს მისსოურის,
და ნიაგარას ვიგონებ ძლიერს,

ქალებს, კამეჩის ჯოგით დაფენილს,

ვიგონებ ხარებს მკერდ-განიერს, უხეშ-ბეწვიანს,

ვყავ საცნაური ეს დედამიწა, ეს კლდე-ღრეები,

ყვავილები მეხუთე თვისა, წვიმა, ვარსკლავი, კირხლი და
თოვლი

და განცვიფრება ისევ ჩემივე,

მე—შემცნობელი ფრინველების ჟრიამულისა, ან და მიმინოს
ცაში ნავარდის,
(და მწუხრის ჟამზე გამიგონია ამ კაობებში შაშვის
კახკახი!)
ვდგავარ მარტოკა, დასაელეთში
ვაჟღერებ სიმებს
და ძლიერი ხმით მე ვუმღერი ქვეყანას ახალს.

* *
* *

მინდა გავხადო კონტინენტი განუყოფელი,
ულამაზესი რასსა შევექმნა ამ ქვეყანაზე,
უფრო ლამაზი, ვიდრე თვით მზეს მოჰლანდებია,
მინდა ღვთიური, მაგნეტური შევექნა ქვეყნები
ამხანაგების სიყვარულით,
ამხანაგების მამაკაცურ სიყვარულითა (ეს სიყვარული დე
გაგრძელდეს მთელი სიცოცხლე);
ამხანაგობა მინდა დავნერგო, ვრცელ ამერიკის მდინარეთა
გალმა-გამოღმა,
ამ ვრცელი ზღვების ნაპირების გრულიაშემო,
ამ თვალუწვდენელ ველ-მინდორზე, თუნდაც ტრამალაზე
მსურს დავაარსო ქალაქები მე განუყრელი,
ხამს ერთმანეთსა ეხვეოდეს ყველა კისერზე,
ამხანაგების სიყვარულისგან,
ამხანაგების მამაკაცურ სიყვარულისგან.
შენთვის, სულ შენთვის ვმღერი ამ ლექსებს, ო, ცოლო ჩემო,
დემოკრატიავ,
მსურს გემსახურო.
შენს გასაგონად ვმღერი ამ ჰიმნებს.

Salut au Monde!

I

(სალამი სამყაროს)

ჩამომართვი ხელი, ვოტ უიტმან!
ო, წარმავალო საკვირველებავ,
სახეებო, უცხო ხმაურო!
ჰოი, სახსრებო, ერთმანეთზე გადანასკეულო,
ერთი სულყველას რომ უპასუხებს,
სულყველა მიწის თანაზიარი.
რა ფართოვდება ამ შენს გულში, ვოტ უიტმან?
რა არის თხელი,
რაა მაგარი?
რა არის ცხელი, რა გაყინული?
რა არსებები, რა ქალაქები?
რა ჰქვია ამ ყრმებს,
ზოგი თამაშობს და სძინავს ზოგსაც?
ან ვინ არიან ეს ქალწულები, დედაკაცები?
იქ შეჯგუფულან მოხუცებულნი,
ხელჩაკიდულნი დადიან ერთად.
ამ მდინარეებს რა ეწოდება?
ამ ულრან ტყეებს და ამ ხეხილებს?
რა ჰქვია ამ მთებს,
ჯანყის ჯარებს თხემზე გადმომდგარს?

II

ვგრძნობ: ჩემში სიბრტყე განიერდება,
გრძელდება სიგრძე,
აზია, აფრიკა და ევროპა აღმოსაელეთში,

და დასავლეთში ამერიკას ეყოფა სივრცე.
 და ეკვატორის ცხელი სარტყელი
 მიწისა სფეროს შემოკდობია,
 ელვის სისწრაფით ტრიალებს ღერძი
 ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ,
 დღე გათენდება ჩემში ხანგრძლივი,
 ირიბ რკალებად, მთელი თვეობით ტრიალებს მზე და
 არ იძირება,
 მზე შუალამის ამოდის ჩემში
 და ჰორიზონტზე გადაეშვება,
 ჩემში გართხმულან ზონები,
 ზღვები, მთის ლანქერები და ვულკანები,
 პოლინეზიის, ცხელი მალაის
 და ვესტინდიის დიდი კუნძული.

III

სთქვი, რა მოგესმის
 ო, ვოტ უიტმან?
 მესმის: მღერიან ქარხნის მუშები,
 მღერის მარტოკა ფერმერის ცოლი,
 და გარიჟრაჟზე ხმები: ბავშვების
 და ცხოველების მოისმის შორით;
 მესმის კივილი ავსტრალიიდან,
 გარეულ ცხენზე მონადირეთა.
 წაბლების ჩრდილში, ესპანურ ცეკვას ხმა აჰყვლია
 გიტარების, კასტანიეტების,
 მესმის ტემზიდან ძლიერი ეხო,
 და ანთებული, თავისუფლების
 მოდის სიმღერა საფრანგეთიდან,
 მესმის ლექსები მელოდიური,—

სიმღერა ძველი იტალიელ მეგონდოლისა,
 მესმის შრიალი მინდვრის კალიის,
 სირიის ველებს რომ დაჰსევია,
 მესმის კოპტების ტკბილი ღიღინი,
 ნილოსის მკერდზე რომ ფარფატებს ძილ-დაღეული,
 მესმის: ძახილი მექსიკანელ ვირის მომდენის,
 ზანზალაკების ნელი ჟღარუნნი,
 მესმის იძახის მოლა არაბი,
 მეჩეთის კოშკზე რომ გადმომდგარა,
 მესმის: ქრისტიან ხუცის გალობა
 ძველ ეკლესიის საკურთხეველიდან
 და მოძახილი, - ბასი, სოპრახო.
 მესმის ყიჟინი ყაზახ-რუსების,
 ჰკივის მენავე, ოხოტცკის ზღვის წყალში გასული,
 მესმის თავდახრილ მონების მარში,
 მათი გოდება და ჟრიამული;
 მესმის: გალობენ თავიანთ ფსალმუნს
 და წმიდა ლოცვებს ებრაელები,
 მესმის: ბერძნების ტკბილხმოვანი
 ძველი მითები, რომაელების ლეგენდები, გმირთა ამბები,
 მესმის: იესოს ღვთიურ ცხოვრების
 და სისხლიანი ჯვარცმის ლეგენდა,
 მესმის: ჰინდუსი საყვარელ შეგირდს
 ასწავლის სიბრძნის, მიჯნურობის, ომების ამბებს,
 სამი ათასი წლის შემდეგაც რომ შენახულან.
 რას ჰხედავ, ჰოი, ვოტ უიტმან?
 ეს ვინ არიან, რომ მიესალმე,
 ხანგამოშვებით რომ გაძლევენ მეგობრულ სალამს?
 ვხედავ: სასწაულს მრგვალსა და დიადს,
 ეს სივრცეები რომ გადალახა,

შორიდან ვხედავ, ოდნავ მოსჩანან:
 ფერმა, სოფელი, ეკლესია, სასახლეები,
 ველურის ფაცხა,
 ქოჩათმავალთა ქრელი კარვები,
 ვხედავ: ჩრდილია ცალ მხარეზე ფრთა-აკეცილი,
 სძინავს მძინარეთ, და ცალ მხარეს ელვარებს შუქი,
 ვხედავ: საოცარ ცვალებადობას
 სინათლისა და ჩრდილის თამაშში, შორეულ ქვეყნებს,
 უცხო მხარეებს მანდ მცხოვრებთათვის,
 ისე მახლობელს.
 როგორც ეს მხარე ახლოა ჩემთვის,
 ვხედავ: თვალუწვდენ წყლების უდაბნოს,
 ვხედავ: თხემების ნალესს წვეროებს
 და მთაგრეხილებს ანდების მთისას,
 გარკვევით ვხედავ მე ჰიმალაის,
 შიანს, ალტაის და მწვერვალს გჰაუტს,
 ყაზიბეგის და იალბუზის, ბაზარჯუსის მთებს,
 ვხედავ: შტაერის
 და კერტნერის ალპის მწვერვალებს,
 ვხედავ ბალკანებს, კარპატის მთებს *
 და პირინეებს,
 მაღლა ჩრდილოსკენ ვხედავ დოვერფელდს
 და ზღვას გადაღმა—მაღალ მთას ჰეკლას,
 ვხედავ: ვეზუვის, ვხედავ ეტნას,
 ვხედავ: მთვარის მთებს, მადაგასკარის მეწამულ კლდეებს,
 ვხედავ: ლიბიის, ვრცელი აზიის
 და არაბეთის ცხელ უდაბნოებს,
 ვხედავ: საშინელს
 და უზარმაზარ პოლარულ მთების მაღალ მყინვარებს,

ვხედავ: დიდსა და პატარა ზღვებს,
ატლანტიის წყალს, პერუს, მექსიკის, ბრაზილიის ზღვას,
ჰინდოსტანის წყლებს, ჩინეთის ზღვას, გვინეის ყურეს,
იაპონიის ზღვას, გასაოცარ ნაგასაკობაის,
მაღალი მთებით რომ არიან შემორაგეული,
დასავლეთის ზღვის გამოწვდილ ენას,
ზღვას გურგენისას ბისკაიას, ხმელეთის კიდეს, შორეულ
ბაის,

ხმელთა შუაზღვის ყველა კუნძულებს,

მზით გაბრწყინებულს,

მე ვხედავ თეთრ ზღვას,

გრონლანდიის ზღვას გადავყურებ.

შევსცქერი შორით. ყველა ქვეყნის მე მეზღვებურებს:

ზოგი ქარიშხალს შებრძობებია,

ზოგი სდარაჯობს საზვერაჲ ხილზე,

სხვანი უმწეოდ ებრძვიან ლელვას,

დანარჩენს სენი ადევნებია,

ერთნი უხვევენ ქარიშხლის კაპთან,

ზოგი მწვანე კაპს უახლოვდება,

ზოგსაც მშვიდობით მიუხწევია გვარდაფუის

და ბაიდორის წყნარ ყურეებთან,

ერთნი დონდრა ჰედს ეტანებიან,

ლოპატკის ყურეს სხვა ეშურება,

სხვანი და სხვანი გემს აჩქარებენ ზუნდას, ბერიგის,

ზღვების ყურეში,

ერთნი კაპ ჰორნთან მისულან ლამით,

სხვები მიადგენ მექსიკის სრუტეს

და მიჰყვებიან კუბას, ჰაიტის ან ჰუდზონ ბაის,

ან ბაფინბაის,

ერთნი გასულან სრუტე დოვერში,

სხვებს ვაშის ბუხტში მიუხწევიათ,
ფორს ოფ სოლვეის გზად გაივლიან,
ან ნათელ სრუტეს, ხმელეთის კიდეს,
სხვები შედიან გიბრალტარში ან დარდანელში,
მრავალნი სხვანი იკვლევენ ონელ გზას
ცივ ჩრდილოეთის დაზამთრულ წყლებში,
ზოგნიც ობისა და ლენის წყლებზე აღმა,
ხან დაღმა ზვირთს დაჰყვებიან,
მრავალი მისდევს კონგოს და ნიგერს, ინდუსს, კამბოჯას
ქვევით, ხან ზევით,
და სხვანი კიდევ სიგნალს უცდიან
ავსტრალიისა ვრცელ ნაპირებთან.
იცდიან ჰამბურგში, იცდიან დუბლინში,
ნეაპოლში, ჰაგაში იცდიან,
იცდიან ბრეჰენში,
იცდიან ბორდოში, გლაზგოვში, ლისაბონში იცდიან.
იცდიან ვალპარესოში,
რით ჯანერიოსს და პანამაში.

V
ვხედავ: ხმელეთის რკინის გზების
ფოლადის რელსებს,
დიდ ბრიტანეთში მე მათ ვხედავ
და ევროპაში,
მათ ვხედავ ყველგან,
აზიასა და აფრიკაში,
ვხედავ ხმელეთის ტილეგრაფის ულევ მავთულებს,
და ჩემი რასის ომის, ვნების
სიკვდილის ამბებს,
მე ვხედავ მიწის მდინარეთა გრძელ კალაპოტებს,

ამაზონის წყალს და პარაგვაის,
ვხედავ: ჩინეთის ოთხ დიდ მდინარეს:
ამურს, ჰონგო-ჰოს,
სიკიანგს და იანგო-ძე-კიანგს,
ვხედავ: ზღვას როგორ უერთდებიან: სენა, ლუარა, დუნაი
და გვადალკვივირი,
ვხედავ: მოქცევას ვოლგის,
დნეპრის, ოდერის წყლისას.
ვხედავ: ტოსკანელს—არნოს დენას ნავით აყოლილს,
და ვენეციელს—მდინარე პოს. ზვირთთან მეომარს,
ეგეის ბუხტში გემის აფრას მართავს ბერძენი.

VI

ვხედავ, სპარსეთის და ჰინდოსტანის.
აშურთა მეფის ძველ საბრძანებელს,
მე ვხედავ: განგას, გადაშვებულს საეკარის კლდეზე,
ვხედავ: ღვთაების იდეების პირველსა აკვანს—
ავატარაში რომ შეისხეს კაცური ხორცი,
ვხედავ ადგილებს, საიდანაც გვევლინებოდენ:
მოგვი, ბრაჰმანი, საბიერი და ორაკელი,
მსხვერპლთ შემწირველი, ლამა,
მუფთა წინასწარმთქმელი,
ვხედავ იესოს, სერობის კვერს უწვდის
მოწაფეთ, ვხედავ იმ ადგილს,
სად იღვწოდა მძლე ჰერკულესი,
და სადაც მოკვდა ძე ღვთაებრივი.
მე ვხედავ ადგილს, სადაც სიკარბის
უმანკო დღენი უტარებია,
სად სვე ბედითი თავს დასტყდომია შეენიერ ბახუსს
— მრგვალ ასოვანს ღამის ნაშიერს,

კნეთს ყვავილოვანს,
ცისფერ კანიანს—შუბლს. რომ უმშვენებს
ფრთების გვირგვინი,
მე ვხედავ ჰერმესს (უსათუოდ უყვარდა ყველას),
სიკვდილის ჟამზე მიმართავდა ხალხს შემოგროვილს:“ ნუ.
ნუ მიტირებთ, ეს არ იყო ჩემი სამშობლო,
ამ ქვეყანაზე მე ვცხოვრობდი ვით უსამშობლო, აწი
ვეწევი ზეციერ სფეროს,
დრო მოვა, ყველა თან გამომყვებით.“

VII

მე ვხედავ მიწის გადათელილ ბრძოლისა ველებს,
იზრდება ყველგან ჯეჯილები, მწვანე ბალახი,
ვამჩნევ მიწაზე მეცნიერთა კვლევის
ნაცადებს,
და უსახლო ძეგლებს, ნანგრევებს,
ძველი გმირობის მოსაგონარ, უტყუარ ნაშთებს,
ვხედავ: უძველესს ზაგას მიდამოს,
ფიჭვებს და ნაძვებს,
ჩრდილოს ქარით გადათელილებს,
მე ვხედავ: კლდეებს, მთის ნაპრალებს და ბნელ ორწოხებს,
მე ვხედავ: ნიშებს---რომ ამშვენებენ
სკანდინავიის გმირთა საფლავებს.
ვხედავ: კლდეების სიპი ქიმები,
ოკეანიას რომ სდარაჯობენ, რათა გმირები განსვენებით
დაქანცულები შესდხენ გრანიტის მალალ ჯეზირზე,
დასტკებენ ამ ლელვით, ამ გრივალით, უსაზღვროებით
და მოქარბებულ ძალის თამაშით.
ვხედავ: აზიის თვალუწვდენ სტეპებს,
მულალეთის მთის სერებს, გორაკებს,

ბაშკირების და ყალმიყების გაბნეულ კარვებს,
 მომთაბარეთა ფურებს, და ხარებს
 ვხედავ: ზეგანებს, ნაპრალებით გადასერილებს,
 ვხედავ: უდაბნოს, სტეპებს და ჯუნგლებს,
 ვხედავ: აქლემებს, გარეულ ცხენს,
 დუმა-სქელ ფარას,
 ვხედავ ანტილოპს,
 მგელს, მიწაში რომ ითხრის სოროს
 ვხედავ მალლობებს აბაშეთისას,
 ვხედავ: სერებზე შეფენილ ჯოგებს,
 ვხედავ: ლელვის ხეს, ტამარინდებს და ინდიხურმას,
 მინდვრებს, ჰურეულს, მწვანეს, ოქროს ფერს,
 ვხედავ: მეხრეებს ბრაზილიისას,
 მე ვხედავ — ვაჩოს ველმინდორი გადაუქრია,
 მარჯვე ცხენოსანს თვალი მოვკარ — ქამანდით ხელში,
 ვხედავ: დასდევენ მონადირენი ვრცელ პამპასებზე
 გარეულ ჯოგებს.

VIII

ვხედავ: თოვლის და ყინვის სამეფოს,

ვხედავ: გამჭრიახ სამოედებს

ვხედავ: ფინველებს,

იქ

ზღვის ძაღლებზე მონადირე — მისცურავს ნავით,

და ციმბირელის მსუბუქ მარხილს ეწევა ძაღლი.

ვხედავ: ზღვის ღორზე და ვეშაპზე მონადირეებს ჩრდილოს,

სამხრეთის ყინულოვან-ოკეანეში, -

შვეიცარიის ვხედავ გლეტიერებს,

ვხედავ ჩანჩქერებს, ნაპრალებს, ველებს,

ვამჩნევ დიდ ზამთარს, განმარტობას.

IX

ვხედავ: ამ ქვეყნის ყველა ქალაქებს
ჩემი ნებაა, სად გაფხდები მე ბინადარი,
მე ვარ ნამდვილი პარიზელი,
მე ვარ მცხოვრები პეტერბურგის,
ვენის, ბერლინის,
თუნდაც სტამბოლის,
ადელაიდის, სიდნეს, მელბურნეს.
ვარ ლონდონელი, ედინბურგელი, ლიმერიკელი,
მანჩესტერელი,
ჩემი სამშობლო ქალაქებია: მადრიდ,
კადიცი, ბარსელონა, ლიონ, ოპორტო,
ბრიუსელი, ბერნი, ფლორენცია,
ტურინ, ფრანკფურტი.
ვეკუთვნი: კრაკოვს, მოსკოვს,
ვარშავას და ჩრდილოეთში სტოკჰოლმს, თუნდაც
ქრისტიანას,
ციმბირის, იაკუტსკს,
ან ისლანდიის ერთ-ერთ შარა-გზას.
ყველგან დავრჩები, ყველას ვეწვევი, შემდეგ
დავტოვებ მე ამ ქალაქებს.

X

ვხედავ: ჯერ უცნობ ქვეყნებიდან
ამდგარა ნისლი,
ნაირ-ნაირის ველურების მე ვხედავ ტიპებს,
მშვილდსა და ისარს, დანავსულ ტალკვესს,
ფეტიშს,
შორეულ ობის კუნძულებს,

ვხედავ: აზიის და აფრიკის ყველა ქალაქებს,
 ალჟერს, ტრიპოლის, მოგადორს,
 დერნას, დელფის, კალკუტას, ვხედავ ტოკიოს,
 ვხედავ კრუ-ზანგებს, დაჰომა-ზანგებს,
 აშანტი-ზანგებს თავიანთ ქობში,
 ვხედავ: თათარი,
 ოპიუმსა სწევს ქალაქ ალეპოს ყავახანაში,
 ვხედავ: მხატვრულად მორთული ხალხი
 როგორ აქრელებს ხივასის და ჰერატის ბაზრებს,
 ვხედავ: თეჰერანს, მუსრატს,
 მედინას ცხელი არავი ვით აყრის ქვიშას, უდაბნოს გზებზე
 ქარავენებს მოაქვთ საპალნე,
 ვხედავ: ეგვიპტეს და მეგვიპტელებს,
 ცამდის აზიდულ პირამიდებს და ობელისკებს,
 ვხედავ გრანიტზე ანჩხლ მეფეების,
 დინასტიების ძველ მატთანეს,
 ვხედავ:
 მეფეთა მუმეების გათხრილ საფლავებს—
 ტანშემურვილებს ათასწლოებით დასძინებიანთ,
 ვხედავ ომებში მოკლულ თებანელთ,
 კისერ-მოქცეულთ, გულხელდაკრეფილთ, გადმოკარკლული
 უჩანსთ თვალები,
 მე ვხედავ: მაწის თავდახრილ მონებს,
 საპყრობილეებს ტუსალებით ვხედავ გავსებულს,
 ვხედავ: მიწიერ კაცთა ტანებს, უშნოს,
 მანკიერს,
 მუნჯებს, ბრმებს, ლენჩებს, კუზიანებს,
 გიჟებს, შეშლილებს,
 მონის გამყიდველს, მატყუარებს,
 ქურდებს და მკვლელებს,

უმწეო ბავშვებს და უმწეო მოხუცებულებს,
ყოველგან ვხედავ ქალებს და კაცებს,
მოაზროვნეთა კეთილშობილ ერთობას ვხედავ,
მე ვხედავ: ძალას, ენერგიას ჩემის რასისას,
ვხედავ: ამ რასის ამტანობას,
შრომის სიყვარულს,
მე ვხედავ: კლასებს, ბარბაროსებს,
განათლებულებს,
არ ვითაკილებ, განურჩევლად ვივლი მათ შორის
და ვესალმები დედამიწის ყველა ბინადარს.

XI

ვინც გინდა, იყავ,
ძე თუ ქალი იყავ ინგლისის,
ჯანსაღის, მაგრამ მონური ტომის თუნდ ნაშიერი—
რუსო — რუსეთში!

შენ მწუხრის შვილო, ჯიშიანი რომა ხარ ზანგი,
ღვთით გაჩენილი აფრიკანელი, ტან-ახოვანი
და გულზვიადი, ხარ ჩემი ტოლი
და ამხანაგი!

შენ ნორვეგელო, შვედო, დანელო,
ისლანდიელო და პრუსიელო,
შენ ესპანელო, პორტუგალელო!
შენ საფრანგეთის ძეო ან ქალო!
შენ ბელგიელო, ნიდერლანდიელო,
თავისუფლებას ეტრფოდი მუდამ
(მეც შენი ტომის ვარ ნაშიერი),
მკლავით ძლიერო შენ ავსტრიელო, შენ ლომბარდიელო,
შენ ჰუნგრეთელო,
შტაერის გლეხო!

შენ მონაპირევე დუნაის მხარის!
 შენ ხელოსანო რაინის მხრიდან,
 ელბის, ვეზერის მონაპირენო, შენც, მუშა ქალო ამ მხარეების!
 სარდინიელო! ბაეარიელო! შვაბო! ვალახო, ან ბულგარელო!
 შენ რომაელო, შენც ბერძენო, ნეაპოლელო!
 შენაც, ფეხმარდო მატადორო სევილის ცირკის!
 შენც, უუფლებო მთის ყაჩალო კავკასიაში!
 შენც კროატელო ცხენის მწყემსო, ჭაკებს რომ უვლა
 და იალაღზე აძოვებ კვიციებს!
 შენ, ტანანდ სარო სპარსო ვაჟკაცო,
 ჯირითის დროსაც არ დააცდენ ნიშანში ისარს!
 შენაც, ჩინელო ჩინეთიდან,
 სათურქოს თურქო!
 თქვენც, დედამიწის დედაკაცნო შრომის უღელქვეშ!
 შენაც, ქალარა ებრაელო, მსოფლიოს მგზავრო,
 სირიის მიწას გსურს დაადგა ერთხელაც ფეხი,
 თქვენც, დანარჩენო ებრაელებო,
 ყველა ქვეყნებში რომ მოელით მესიას თქვენსას!
 გულდარდიანო, სომხითის შვილნო,
 ეფრატის წყალზე გწვევია ფიქრი,
 ხანაც ადიხარ არარატის ალმაცერ ფერდზე,
 შენც, დაქანტულო მოგზაურო წმიდა მექასკენ,
 მეჩეთის ზუჩებს შორიგზიდან რომ აძლევ სალამს!
 თქვენც შეიხებო,
 განაგებთ ხალხებს ბაბელმანდებსა და სუეცს შორის,
 თქვენ, ზეთისხილის მომშენებელნო ძველ ნაზარეთში,
 დამასკის მხარეს!
 შენც, მეწვრილმანევე ტიბეტელო, მთებში მოვაქრევე,
 ან ლასსას მხარეს ნაჩვევო ჩარჩო!
 ქალო და კაცნო იაპონელებო,

თქვენაც, მცხოვრებნო ცეილონის, მადაგასკარის!
ევროპის, აზიის, ავსტრალიის, აფრიკის შვილნო,
მთელი ხმელეთის ყველა მცხოვრებნო!

თქვენაც, უთვალაჲ კუნძულებზე მობინადრენო!
თქვენც, საუკუნის ნაბოლარებო, როცა მე მისმენთ!
და შენც, იყავი, ვინც გინდოდეს, სადაც გინდოდეს,
ვინც არ ვახსენე (მაგრამ მაინც ვგულისხმობ ყველას),
სალამი თქვენდა! გასურვებთ კეთილს ჩემდა თავად
და ამერიკაც.

ყველა თქვენგანი საჭიროა,
ყველა თქვენგანი უსაზღვროა, განუზომელი
და ყოველ თქვენგანს უფლება აქვს დედამიწაზე
გაიზიაროს მარადიულ ცხოვრების აზრი.

ყველა თქვენგანი ღვთიურია და თანაბარი.
შენც, ჰოტენტოტო, მოუბარო ხრინწიანი ხმით,
თქვენც ბეწვ-მრავალო კაცთა ლაშქარნო,
თქვენაც მონებო, სისხლსა და ოფლს რომ ჰღვრით მიწაზე,
კაცის მაგვარნო, უცნაურო ნადირისპირნო,
შენაც ბედშავო, ველურო კაბუ, უკანასკნელიც რომ
დასცინის

შენს ველურ ენას და ბნელ გონებას!
შენც ქონდრის კაცო, კამჩატკელო, ლაპლანდიელო,
შენაც მცხოვრებო ცივ გრონლანდიის,
შენც ავსტრალიის უმგვანო ზანგო,
შიშველ-ტიტველო, კანდამწვარო,
ტუჩებ დამსკდარო,
მიწაზე ხოხვით რომ ეძებ სარჩოს,
შენ კაფრო, ზანგო სუდანის და ბერბერის მხარის!
ველურო,
ხეპრევ,

შენც უსწავლელი ბედუინო!
შავო ბრბოებო, ავი სენით შეპყრობილებო,
ეგზომ რომ შხამავთ ნანკინგს, მადრასს, კაბულს, ქაიროს!
შენაც, ბნელ ღამეს შეპყრობილო ამაზონელო,
პატაგონელო,
შენც, ფიდშიმანო!

არც ერთ თქვენთაგანს არ ვითაკილებ,
ერთი სიტყვითაც არ დაგძრახავთ, იქვე იდექით,
სადაც დღეს დგახართ,
დრო მოვა, ყველა წინ წამოხვალთ,
გვერდს მომიდგებით.

მთელი სამყარო მოიარა ჩემმა გონებამ,
ყოველი არსის თანაგრძნობის მატარებელმა,
ვეძებდი ყველგან ჩემს თანაბარს, მოსიყვარულეს
და მოინახეს მივაგენი ყველა მხარეში.
და ვფიქრობ ახლა: ძალმა ღვთიურმა
მათთან სავსებით გაძათანაბრა.

ჰეი ნისლებო, თქვენ გადმოგყევით
ამ თვალუწვდენელ კონტინენტებზე,
მე თქვენთან ვჭკროდი, მძლავრო ქარებო,
ზვირთებთან ერთად ვესალბუნე
ზღვების ნაპირებს,

მიწის თეძოებს გავუარე-ყოველგან, სადაც
ზღვას და მდინარეს ორწოხებში გზად გაუვლიათ;
მე ფეხი შევდგი კუნძულებზე, მალალ კლდეებზე,
რათა შორიდან დამეძახნა:

Salut au Monde!

თუ სადმე შუქი, მხურვალემა ქალაქებს აღწევს,
მეც მივალწიე იმ ადგილებს, იმავ ქალაქებს,
და თუ კუნძულებს ფრინველები ესტუმრენ სადმე, (მეც

ხომ ვეწვიე იმ კუნძულებს, იმ არემარეს),
ყოველ თქვენთაგანს,
ამერიკის ძვირფას სახელით
ზეაწეულ ხელს მე გავუწვდი და ვაძლევ ნიშანს,
რომ ეგ ნიშანი ახსოვდეს ყველას,
ყველა თქვენგანის თავშესაფარს, მშობლიურ კერას.

მკითხავდა ბავშვი: „რაა ბალახი“?

მკითხავდა ბავშვი:

„რაა ბალახი“? მოსწყვიტა. მუქით გამომიწოდა.

რა უნდა ვუთხრა?

ხეტავე პასუხი ამ ბავშვზე უკეთ მაინც ვიცოდე!

ვგონებ...

ბალახი—ჩემი არსების დროშაა,

მწვანე იმედის ფერი.

ან და...

ბალახი ბავშვია თვითონ, მცენარეულის

ყრმა ნაშიერი.

თუ არა ვცდები... შემომქმედის ცხვირსახოცია,

სურნელოვანი საჩუქარი განგებ დაჰკარგა.

და სამახსოვროდ ჩვენ დაგვიტოვა,

მისი სახელი კუთხეებზე წარწერილია.

ჩვენაც დავხედავთ,

ვკითხულობთ სშირად: ვისია, ვისი, ვის დარჩენია?

თუ...

ვგონებ, იგი უცნაური არს ჰიეროგლიფი.

და ნიშნავს: ყველგან ზრდა და ჯიში ერთმანეთს ჰგვანან.

ფართე ზონებში, ვიწრო ზონებში,

შავ ხალხებს შორის და თეთრებს შორის,

კანუკ, ტუკაჰო და კონგრესმანი,

მე მათ არ ვარჩევ. ყველას ვღებულობ.

...და მე მგონია ეს მშვენიერი, მოუკვეცელი საფლავის თმები.

ვეალერსები ნაზად, სათუთად ხუჭუჭა ბალახს:

ჩვენებ ძვირფასო, კაბუკების მკერდზე იზარდე,

ეგებ ისინი შემყვარებოდა, მე რომ გამეცნო, თვალით
მენახა.

ეგებ ბებრების სხეულებზე ხარ წამოზრდილი,
ან ჩვილ ნაყოფით (დედებს სტაცებენ მას ხაადრევად
ხშირად საშოდან)

ხარ დედის საშო!

ახ, ეს ბალახი ძლიერ მუქია,
რადგან ქალარა დედების თავს გამოუზრდია,
უფრო მუქია,

ვიდრე მოხუცი მამაკაცების უფრო წვერი,
მუქია, რადგანც

მიცვალებულის ფერგამკრთალ პირზე ამოსულია,
ოხ, მე მომესმის უფრო ხმამალა ამდენი ენა,
ამდენი სიტყვა...

მესმის, მიტომაც, სწორედ მიტომაც...

მიცვალებულის ფერგამკრთალ პირზე...

ნეტავ შემქმდლოს გადმოვთარგმნო მათი ჩურჩული,
რას შიამბობენ ახალგაზდა ქალზე, ან ვაჟზე,
რას შიამბობენ ეს ბალახები მოხუც ქალებზე,
მოხუც კაცებზე, ან იმ ნაყოფზე, დედებს უდროვოდ რომ
სტაცებენ ხშირად საშოდან!

შენ რა გგონია,

საით წავიდენ ის ჰაბუკები, ის მოხუცები,
შენ რა გგონია, საით წავიდენ ან ის ქალები,
ან ის ბავშვები?

ისინი სადღაც კიდევ ცხოვრობენ,

ისინი სადღაც კიდევ არიან,

და ეს ყლორტია, ჩვენ რომ გვასწავლის,

რომ უცნობია ქვეყნად სიკვდილი

და იგი სადმე თუ გამომჩნდარა,

ყველგან სიცოცხლის წინამორბედად
და ყველგან, სადაც სიცოცხლე ჩნდება,
იმავე წუთში ჰქრება სიკვდილი. -
სიგრძეზე, განზე იწევს სამყარო, არარა ჰქრება
ჟამით-ჟამამდის,
და თვით სიკვდილიც სულ სხვა რამეა,
ვიდრე გვეგონა ყველას აქამდის...

ჰიმნები. სიხარულისადმი.

მინდა ვიმღერო ჰიმნები შევების,
საესე მუსიკით, მამაკაცობით, დედაკაცობით და თუნდაც
ყრმობით,

ყოველდღიური საქმიანობით,
ხორბლით, ხეებით...

ჰოი თქვენ ხმებო ცხოველების,
ჰოი სისწრაფევ, წონასწორობავ მალხაზ თევზების!

ო, წვიმის წვეთის ტაკა-ტუკო ლექსის ბგერაში!
მზის ელვარება, ტალღის შრიალი

როცა გაისმის ჩვენს სიმღერაში!

ო, ჩემი სულის სიხარულო განუსაზღვრელო,
ელვის ნაპერწკალს შევადარე შენი კისკასი.

მაცნე არ კმარა ეს ყველაფერი,

რათა დავიპყრო მიწის სფერო, დროს გაქანება.

მინდა ათასი მიწის სფერო მეჭიროს ხელში

და დრო ყოველი და ყოველგვარი.

ო, სიხარულო, ლოკომოტივით მიმქროლავი ინჟინერისა.

როცა მოისმის ორთქლის ქშეილი,

ან და მანქანის სირენების მძაფრი კივილი,

ო, მომცინარე ლოკომოტივო!

გამოქანება,

თავაწყვეტილი გაქანება,

შორეთს დაკარგვა!

ო, ნეტარების სწრაფი რიალი,

ველებს, მთების, მინდვრებს გადაღმა!

ფოთოლი,

ყლორტი,
 მრავალძარღვა,
 ნოტიო, ნამი, პირმოქუშული ტყეების ჩქანი.
 ნოყიერ მიწის საამო სუნი,
 გარიჟრაჟისას რომ მოისმის, ან შუადღემდის.
 ო, სიხარულო ცხენოსანის, კაცის, ან ქალის!
 ლაფშური
 როკვა,
 უნაგირზე,
 ყურებში, თმაში სუფთა ჰაერის გრილი ქშეილი.
 ო, სიხარულო ცეცხლის მქრობელის!
 მესმის ალარმის აურზაური, ჟღარუნის,
 რეკვა, დახილი შორით მოსული;
 შე გაეჟანდები, ბრბოს გავარღვევ და მე მივრბივარ.
 ამანთებს,
 მათრობს ცეცხლის აღმური.
 ო, სიხარულო, მაგარ კუნთიან მოფარიკავის,
 ბრვე, ახოვანი არენაზე რომ დგას უფაროდ,
 მაჯაში ძალა მოსქარბებია,
 თვალებით ეძებს მოპირდაპირეს.
 ო, სიხარულო განუსაზღვრელო,
 თანდაყოლილი, ნაზ თანაგრძნობის,
 ადამიანის სულს თუ ძალუძს მისი ტარება
 და გადმონთხევა
 განუსაზღვრელ ჰველების სახით.
 ო, სიხარულო ყველა დედების!
 ნაზი სალბუნის, ტკბილი ალერსი და მოთმინება,—
 შემომატება
 და განახლება!
 ო, სიხარულო, დამშვიდების და დარჩქალების და

სიხარულო

ჰარმონიის, მშვიდი ერთობის!

ო, მობრუნებაე იმ ქვეყანაში, სადაც შობილვარ;
და გაგონება: თუ როგორ მღერის იმ ადგილებში
მინდვრად ფრინველი!

სახლში, ბელელში, ფარდულებში უქმად ყიალი;
ხეხილის ბაღში, ძველ ბილიკზე მინდა ვიარო.

ვიყვე ზღვის ბუხტში, ტბების ნაპირად.

მსურს იქვე დავრჩე, ვიმუშაო თუნდ სიკვდილამდის.

მარილიანი, ნოტიო სუნი,

ტანგი ფშანებში გამორიყული,

მეთევზეების, ზღვის ღინჭილების

და ლოკოკინის მებაღურთა საქმიანობა.

მივდივარ, მომაქვს სასროლი ბაღე,

ვკითხულობ: ქველი თუ უქუიქცა?...

მელინჭილეებს, მებაღურებს შევუერთდები

და მათთან ერთად ჩამოვჯდები ქვიშიან სკამზე.

ვიცინი,

ან და მათთან ერთად ვჩიჩქნი მეც ქვიშას,

მუშაობის დროს მეც ვოხუნჯობ თავნება, ცეტი.

ზამთარში ჩანთას გაღვიკიდებ,

ხელში მაქვს ჩანგი, ხანაც ნიჩაბი, და მიყვები—

ზღვის პირისკენ, ბილიკს გაყინულს.

პაცვია თბილად.

უჩვევ სიხარულს დილა-ადრიან წამოყოლილი

გავალ ყინულზე,

სალამოობით შინ დავბრუნდები მე დაქანცული, ჩემი

ტოლები თან დამყვებიან.

ჩემივე ბუდის მართვეები და ტოლ-ბიქები,

ყველაზე მეტად ჩემთან ყოფნას ეტანებიან.

დღისით ჩემთანვე მუშაობენ, საქმიანობენ
 და ლამეებსაც ჩემთან ერთად გაატარებენ.
 თბილ ამინდებში ნავში ვსხდებით,
 ზღვის კიბოების ვეძებთ კალათებს,
 ქვით დატვირთული რომ გადავუშვით წინაღლით ზღვაში,
 (მე კარგად ვიცნობ ამ გვარ ბოიებს*)
 ჰოი, საამო დილის ნიაეო,
 მეხუთე თვეზე ზღვებზე და წყლებზე,
 მე მზის ამოსვლას ნავით მივასწრებ იმ ბოიებთან,
 ამოვწევ თოკით მაშინ კალათებს
 და ვხედავ, შიგნით ვით იბრძვიან ზღვის კიბოები
 მაგრატლის ქვანგით,
 და ხის მარწუხით ამოვიყვან მათ კალათიდან.
 ყველა, დანარჩენ ბოიებსაც რომ მივაკითხავ,
 მოვუსვამ ნიჩაბს, ნაპირისკენ გავემართები,
 იქ უშველებელ თუჯის ქვაბში იხარშებიან
 ზღვის კიბოები, და კარხალივით გაწითლდებიან.

* * *

სნეა დროს მაკრელებს*) გამოვუდგები,
 მსუნაგი, ხარბი მაკრელები დაფართატებენ
 ზღვის ზედაპირზე.
 მოგეჩვენება: მილის მანძილზე მოედებიან
 ზედაპირს ზღვისას.
 ხანაც გველთევზებს მისდევ ზღვაში ჩისპიკ ბაისთან
 მე, სახეღამწვარ მეთევზეთა ძმა, თანატოლი,

*) მებადურებისა და მენავეების ხელსაწყო. ცილინდრის ფორ-
 მის, ფულურო რკინის ბურთულა, მინების და ანკესების ან ბადეების
 მისანიშნებლად.

*) მაკრელი: ლათინ. Scombridae.

ხან მწვანე თევზებს მივსდევ კაპარკით, პავმანოკს ახლოს
სასროლი ბადით.

მიყურეთ მაშინ სახსრებ-დაჭიმულს!

მარცხენა ფეხი მიდგია ნაეში, მარჯვენა სწრაფად
გადასტყორცნის დახეშილ ბადეს.

და ჩემს გარშემო დასრიალებენ: ორმოცდაათი ჩემი
ტოლი მენავეები.

მენავეები მდინარეებს გადაყოლილი!

დღისით მგზავრობა სენტლავრენსის მდინარის ზემოდ,
გასაოცარი სანახები, ორთქნავალები,

აფრა-გაშლილი დიდი ნავეები,

„ათასთა კუნძულს“ რომ ეძახიან,

ხან და ხან ტივებს მოვიშველიებთ, და ამ ტივების
მკლავ-ლონიერ ნიჩბის მომსმელებს.

ვხედავ ტივებზე სულ პაწია ქოხებს, ფარდულებს,
ამოდის კვამლი, დაისის ჟამზე შეუდგებიან ვახშმის
სამზადისს.

ყოფნა ოდნავად სახიფათო, ოდნავ ბედითი,

თუნდაც ოდნავად განსხვავებული სათნო და უძლურ
ცხოვრებისაგან. ისეთი რამე,

რაც სავსე არის ექზალტაციით და ალტყინებით!

რაც თავისთავად დაყიალებს, ღუზას მომწყდარი,
მე ამგვარ-ყოფნას დია ვადიდებ!

ო, მაღაროში მუშაობავ, რკინის დაკვერვა,
ფოლადის დნობა,

თვით ქარხანა რკინის სადნობი,

მაღალი სხვენი კვარტლიანი

და ფართე სივრცე ჩრდილშეფენილი,

ქურები, დიდი ღუმელები, ლანქერი ცხელი
გამდნარი რკინის.

ო, ჯარისკაცთა სიხარულიც მსურს მოვიგონო!
 თამამ წინამძღოლს როცა მიჰყვები,
 გესმის მოზოგვა და ზრუნვა მისი.
 იყვე მოწამე მისი სიმშვიდის,
 მისი სიცილის ელვარებით გულის გათბობა!
 ბრძოლაში გასვლა, საყვირების ხმა, დაფისა დაკვრა,
 და ზარბაზნები!
 გრგვინვა, ზანზარი, ხიშტების ელვა,
 სხივის კაშკაში—თოფის ლულეებზე ზეგადმომდგარი,
 ნახო, თუ როგორ იცელება მხედარი ომში,
 და უდრტვინველად ამოხდება დაკრილებს სული,
 ველური გემო, სისხლის გემო ნახო ერთხელაც
 თუნდ ერთხელ მაინც შენც რომ გახდე ისე ველური,
 რომ სანუკველად მიიჩნიო შენც სისხლის დაღვრა
 და კრილობის თვალთ დანახვა,
 ან სიხარული ვეშაპებზე მონადირისა!
 ისევ ძველ გზებზე მინდა ვიარო!
 ვგრძნობ ნავის სრიალს,
 და ატლანტიის წყლისა შხეფები, სიცხეში სახეს ვით
 მიგრილებენ,
 ისევ მოძესმის ხმები ანძიდან:
 „ჰეი, შეხედეთ, ეგერ ასხურებს!“
 ისევ ავხტები მეც სხვებთან ერთად,
 ბაქანს გავივლი, ველურივით
 ალტყინებული წყალში ჩაშვებულ ნავებისკენ
 გავეშურებით.
 ნიჩბებს მოვეუსვამთ და მივცურავთ იქითკენ, სადაც
 ნადავლი ჩენი შევიგულე წყალზე ნწოლარე,
 ხმა-გაკმედილი, ფრთხილი, მდუმარე
 ვეშაპი, ვხედავთ, ვით შავი მთა დაუდებულა და ითბობს

შეზე გათოშილ სხეულს,
და მეჰარპუნე წამოდგა ნავში,
მკლავით ძლიერით, გადასტყორცნა ბასრი ბორბალი,
და წამოვარდა სწრაფი ზვირთი ოკეანისა,
თან წარგვიტაცებს, გაგვაქანებს ქარის ნავალზე,
ისევ მოჰკვარი თვალი ვეშაპს,
ამოჰყო თავი და სუნთქავს ჰაერს,
ჩვენ ვეშურებით, ვუახლოვდებით,
კვლავ გამოჰქანდა ბოძალი მალნი,
და დაეძგერა ვეშაპის სხეულს.

უკუვიქეცით მენავეები, ვხედავ, კვლავ ზვირთმა თან
წარიტაცა. სჩანს, ამოხდება მომაკვდავს სული.
ისევ ამოყვა უფსკრულის ტალღას, სისხლს ანთხევს პირით,
და სცურავს ირგვლივ სულთა-მობრძავეი,
და წყლის მორევის ორომტრიალში კვლავ გაიბრძოლებს
სისხლიან წყალში...

ო, სიხარულო ჩემი სიბერის!

ყველა სიხარულს მე ვარჩევდი სიხარულს შენსას!

ჩემო შვილებო, შვილის-შვილებო,

ჩემო თეთრო თმავ და თეთრო წვერო!

ჩემო სიგანევე, მყუდროებავე, დარბაისლობავე,

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებისგან მონაპოვარო!

ო, სიტკბოებავე დამწიფებულ დედაკაცობის!

დასასრულ, ბედო!

ოთხმოც წელსა ვარ გაცილებული,

მაინც ვარ სათნო, კეთილი დედა.

რა ნათელია ჩემი გონება,

რა რიგ ვუყვარვარ, ვიზიდავ ყველას.

რა ძალებია ცენტროდ მსრბოლელი,

ყველაზე მეტად დღეს

ვიგრძენი მე აყვავება,
ჩემ სიჭაბუკის აყვავებას რომ აღემატა.
სულში ეშვება სათნოება,
უცხო შეენება
და იწევს მაღლა...
ო, სიხარულო მკერმეტყველების!
ერთავად მკერდი განიერდება, ყელიდან როცა ამოხდება
ძლიერი გრგვინვა,
ბრბოს აატირებს, გაახელებს, ან გააცოფებს
და ამერიკას რომ განაგებს, ენით აოკებს.
ო, ჩემო სულის ვნებათა ვნებაე!
წონასწორობით რომ ეყრდნობი საკუთარ ღერძზე.
ჩემმა სხეულმა მოიხვეჭა, თავად შეიტკბო
სხვისი არსების შენაცნობი და შენატკბობი.
და ჩემი სული ისევ ჩენსკენ მოემართება,
თრთოლვით, კანკალით, სხვის სახეების
სხვისი გრძნობების, სხვის მახსოვრობის სხვისი ხმების
ბნელ წიალიდან.
ჩემი გრძნობების, ჩემი ხორცის არსი ნამდვილი
აღემატება ჩემი გრძნობის, ხორცის გასაქანს,
ჩემმა სხეულმა მატერია შემოიძარცვა
და ხედვამ
ჩემმა უკუაგდო თვალები ჩემი.
და დღეს უთუოდ ნათელია, რომ ეს თვალები,
ჩემი თვალები სინათლისა კარი და სარკე—
ჩემი თვალები არ ყოფილან არა და არა.
არც საყვარელი ჩემი სხეული, რომელსაც უყვარს,
რომელიც დადის, იძღერის, კოცნის, ხალხს ამრავლებს
—არ არის ჩემი.
ჰოი ფერმერის სიხარულო!

შენც სიხარულო იმ მამაკაცის, ვინც უნდა იყვე,
კანსას და იოჯას,

ოპიოსი

და მისოურის, ილინოისის,
ორეგონის თუნდ ნაშიერი.

დილის რიჟრაჟზე ფეხზე აღდგომა

და სამუშაოდ გასვლა მინდორში,

ყამირის მოხვნა შემოდგომით ზამთრეულ მიწის,
და გაზაფხულზე სიმინდების თესვა მინდვრებში,
ხეხილის ბალის მოშენება, მოვლა და გასხლვა,
ვაშლების რთველი შემოდგომით ნაგვიანევი.

ო, ტანის ბანა მოხერხებულ ნაპირთან სადმე,
წყალში ლაღობა და მორევში ყურჭუმალობა..

ტალღებთან ბრძოლა, თუ მოგწვდება მუხლამდის წყალი.
ან ტანში ჯველი ნაპირებზე რბენა, ყიალი.

ო, ამ უსაზღვრო სივრცეებში გზისა გაგნება!

არსთა სიჭარბე და სავსება რომ განიცადო.

და გიხაროდეს, რომ საზღვრები გადაგილახავს.

ავარდე ზევით. მთასთან, მთვარესთან, ზეცის ღრუბელთან
მზესთან იყვე თანაზიარი.

ო, სიხარულო მამაკაცურ თავმოყვარეობის.

არავის ეყმო. დადიოდე თავაწეული. სუბუქი, სწორი,
ნაბიჯებით, წელგამართული.

და მიმოხედვა მშვიდი თვალებით,

ან ლაპარაკი მაღალი ხმით, ჯანსაღ მკერდიდან.

და მთელი ქვეყნის პიროვნებებს აღრიდე შენ თავს,

და წინ აღუდგე პიროვნება-დასრულებული.

თუ განგიცდია სიჭაბუკის აღფრთოვანება?

სასიყვარულო მეგობრების, მხიარულ სიტყვის

მომღიმარ სახის შემოხედვა, შემონათება?

ნათელ დღეების, ათქვირებულ თამაშის ლხენა!
და სიხარული ტკბილი მუსიკის. გაჩირალდნებულ და რაბებში
ცეკვა თამაში?

მდიდრულ მეჯლისზე ქეიფობა, ჯარში ღრეობა?
გკითხავ, მალალო ჩემო სულო, თუ განგიცდია
ღრმა ჩაფიქრების სიხარული და ჩაფიქრება,
დაობლებული მარტოობა ახატი გულის?

მარტო მგზავრობის, ანაყ სულის ამპარტავენობა,
ტანჯვა და ბრძოლა?

და სასიკვდილო ტკივილები და აღტყინება,
ჩუმი ფიქრების თანტარება დღისით და ღამით?
სიკვდილზე ფიქრის სიხარული და სფეროები ღროის
და სივრცის

ანაღლებული სიყვარული და ნათელხილვა,—ღვთივეკურ-
თხეული, ერთად-ერთი თანამემცხედრე?

და სიხარული ყველა შენგან მიკუთვნებული, ჰოი უკვდა-
ვო, შენ გეკუთვნის, სულო, ყოველი!

ვიდრე ცოცხალ ვარ, მინდა ვფლობდე ცხრვრებას ჩემსას,
არ მსურს მონობა,

მინდა ცხრვრებას დავეუფლო, ვით დამპყრობელი და
მძულს ცრემლის ღვრა, მოწყენა, ოხვრა და იღუმალი.
ურვა და ხვნეშა.

მიყვარს ჩვენება ჰაერის, მიწის, ზღვების, მინდვრების,
მალალ კანონის, რომ დაგანახოთ ჩემი სულის შეუვალობა,
და არ არსებობს გარეგანი ძალი ამ ქვეყნად,

რომ დაეუფლოს თუნდ ერთხელაც ამ ჩემ ამაყ სულს.

არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის,
სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდებია!

საოცარია თვით სიკვდილით დაშოშმანება, იგი ამშვი-
დებს, ერთი წამით სულს დააოკებს და ეს საჭიროდ მი-
მაჩნია ყოველ ღროსათვის!

მე განუტევებ ჩემს გახრწნილ სხეულს, დე იქცეს მტვე-
რად, თუნდ დაიწვას, თუნდ დაიმარხოს, ჩემი სხეული
ქეშმარიტი და განუყრელი, მე ხომ შემრჩება სხვა ქვეყ-
ნისთვის, სხვა სფეროსათვის,

და ცარიელი ჩემი გვამი

კვლავ მოიქცევა გასაწმენდელად დედამიწისკენ.

და შორეული სამსახურის შესასრულებლად კვლავ
ემსახუროს

მარადიულ მიწიერ ზრახვებს.

ო, მეზიდება გამოუცნობი და უჩვეულო ძალა თავისკენ! ,
რა გვარი? როგორ? ეს მე არ ვიცი. მაგრამ დაჰხედე:
ძალაა იგი სხვა ხელისთვის მიუწვდომელი.

შემომტევია, არაოდეს მომგერებელი, რა მაგნეტური
უხილაფი და მიმზიდველი?

ო, შებრძოლებაც მოზღვავებულ მტრების ლაშქართან,
მანც იბრძოდე უშიშარი, გაუტეხელი.

პირისპირ შეჰხედე, და სცადო ძალა, ან და რამდენ ხანს
გაუძლებ ბრძოლას.

პირისპირ ნახო: ხალხის ბრძოლა და სიმძიმელი, ან საპ-
პყრობილე და მძულვარება.

ახვიდე ერთხელ სახრჩობელაზე და თოფის ლულებს დამ-
შვიდებით გადასცქეროდე.

თუნდაც ერთხელაც შეეღარო პირგავსილ ღმერთებს.

ზღვაში მარტოკა გემით გახვიდე!

დასტოვო მიწა პირგამშრალი და საძაგელი,

ამ ქალაქების, ამ ქუჩების ერთფეროვნება.

შენ რომ მოგშორდე, გათოშილო, უძრავო-მიწავ, ავიდე
გემზე

ნიჩბებს მოვუსვა, წინ გავეშურო ჩქარა, სულ ჩქარა

ო, ეს ცხოვრება ისე გიყვარდეს, როგორც ლექსები
ახალ მეგობრის!

ტაში შემოჰკრა, გაიხარო, იცეკვო, ხტოდე.

სიხარულისგან ყიჟინამდე, რბოდე, ცურავდე!

და მეზღვაური ყველა ზღვების, ყველა ქვეყნების, ყველა
ნაპირებს, ყველა ბუხტებს მიაღებოდე.

ან გემი იყვე (შეხე ამ აფრებს, მზით გამთბარ ზღვაში
ფრთა-გაშლილი რომ მისცურავენ!)

სწრაფად მსრბოლელი, შორეთს მავალი და დატვირთული
სიყვარულით, გრძნობით და სიტყვით...

ვის უნდა ტანი ამ მამაკაცის?

ვის უნდა ტანი ამ მამაკაცის?

(ომამდის-ხშირად დავდიოდი მარტო ბაზარში და შეეცქეროდი იქ მონების ყიდვა-გაყიდვას.

მოვეხმარები მონის გამყიდველს, ამ მაწანწალას ან რა ესმის ამგვარი საქმის)!

თქვენ, ბატონებო,

ამ სასწაულს დაჰხედეთ ერთი.

შემონაძლევი არ იკმარებს საქონლისათვის.

განა ამ კაცის წარმოსაშვებად

არ იწვა მიწა კვინტილიონ საუკუნეში?

არცა ცხოველი, არცა მცენარე...

ამ კაცისათვის მიუცილებლად

მზის სპირალები გარს უვლიდენ ათას სამყაროს.

ამ კაცის თავში საოცარი ბუდობს გონება,

ათასი გმირის საქციელი, სასიქადულო.

გასინჯეთ ერთი!

ეს სახსრები, (წითელი იყოს, შავი, თეთრი—

ეს სულ ერთია).

ყველა ძარღვებით არის ნაქსოვი.

გააშიშვლებენ, და დარწმუნდებით, და დარწმუნდებით საკუთარ თვალით.

გრძნობა თუ გნებავთ—უფაქიზესი, ან საოცარად

მოკიაფე. თვალი, თუნდ ნება, ან სითამამე'

ფარი

მკერდისა, რა მოქნილი აქვს ხერხემალი,

ხორცი მაგარი, სახსრები, ხელი, თუნდაც ფეხები
საოცარი, ელასტიური.

სხვა სასწაულიც,

დამიჯერეთ, ბევრია მასში.

ყოველგან — სისხლი.

სისხლი ძველი, კეთილშობილი.

წითელი სისხლის დენა წითელი!

და იქ სიღრმეში, ტოკავს, როკავს გული მგზნებარე

და ვნება სრული, ნიკი, სურვილი

და საწადელი.

ხომ არ გგონიათ;

ამ მამაკაცს

არ ჰქონდეს სისხლი?

(რაკი სალონში, დარბაზებში არა ყოფილა?)

განა ეს მარტო მამაკაცია, ის არის მამა ჰომეოპათია.

ის ერთხელ მაინც

იქნება

მამა

მამის

და კადევე მამის.

მასშია თესლი ხალხმრავალი სახელმწიფოთა.

მასშია

თესლი

ხალხმრავალი რესპუბლიკების.

მასში ურიცხვი

სიცოცხლე ბუდობს

მასში — ურიცხვი განკაცება და ხორცის შესხმა.

ურიცხვი

კრემლი

და სიხარული.

თქვენ იცით მერმე,
საუკუნეთ უღვევ მანძილზე
ამ კაცის თესლით
ვინ წარმოსდგეს, ვინ წარმოაშვას?
(ან თქვენ საკუთარ წინაპრის სახეს
სად იპოვნით,
საუკუნიდან
საუკუნემდის.
კიდევ მიგეგნოთ
თქვენსავ გვარის ნატერფალისთვის).

*
* *

ჰა, იყიდება დედაკაცის ცოცხალი ტანი!
არც ეს ქალია მარტო იგი,
ვინც თვითონ არის,
ის მშობელია. დედებისა და ქალწულების..
მარქვი:
ოდესმე ნაზი სხეული დედაკაცისა
თუ გყვარებია?
ან და ოდესმე
მამაკაცის
ტანი გიყვარდა?
ნუ თუ ვერ ხედავ?
დედაკაცი და მამაკაცი
ორივე
ერთია,
ყველა დროში და ყველა ხალხში.
წმიდათა წმიდა
თუ სადმე არის ამ ქვეყანაზე,
ადამიანის
სხეულია წმიდათა წმიდა.

და თვით სახელი
და თუნდაც ვნება მამაკაცისა,
ეს
ნიშანია გაურყვნელი მამაკაცობის.
მამაკაცისთვის, ისე ყველა დედაკაცისთვის,
წმინდა, ძლიერი,
ჩასხმული ტანი
მითხარ, ხომ უფრო შევნიერია,
ვიდრე თვით სახე, ულამაზესი?
გინახავთ სადმე
ისეთი შლეგი,
რომ საკუთარი, ცოცხალი ტანი
თვით დაერღვიოს და წაეწყმიდოს?
ან ქალი ნახეთ ისეთი შლეგი,
თავისი ტანი იაფარეყოს?
გინახავთ სადმე?
ამას ისინი ვერ დაფარავენ,
ვერ დაფარავენ უკუნითი უკუნისამდე.

*
* *

მგზავრო, უცნობო გზაში გამვლელი!

შენ

არც კი იცი, გულის ცახცახით რომ მოგელოდი
და თვალს გაყოლებ.

შენ ის კაცი ხარ, მე რომ ვეძებდი,
ალბად ის ქალი—მე რომ ვეძებდი
(ასე მგონია, სიზმარში ვიყვე).

ალბად, ოდესღაც სიხარულით სავესე
ცხოვრება მე შენთან ერთად მიტარებია.

ისევ სიფხიზლე,

ჩვენ ჩაუშარეთ

ერთმანეთს გვერდით, ნაზად, უბიწოდ და წამიერად,
შენ აკი ჩემთან წამოიზარდე, იყავი ვაჟი,
იყავი ქალი,

შენთან ვიჯექი, შენთან ვკამდი, შენთან მეძინა
და შენი ტანი მარტო შენი როდი ყოფილა,

არც ჩემი ტანი—მარტოკა ჩემი.

შენ მომანიჭე შენი თვალის პირველი ვნება,

შენივე ხორცის და შენი სახის.

არა მსურს შენთან გასაუბრება, მინდა ვიფიქრო—
ხანდახან შენზე, როცა მარტო ვარ,

ლამ-ლამობით არ მეძინება,

მსურს მოვიცადო, ეჭვი არა მაქვს,

მე შენ ისევე რომ შეგვეყრები.

ვიცი, შენს ხსოვნას არ დავკარგავ. უკუნისამდე.

*
* *

ვითა ადამი იალონზე რომ წამოვდგები,
ქოხიდან გავალ ძილით დამტკბარი,
შემხედე ერთი, სადაც არ წავალ,
და გაიგონე ჩემი ძახილი, -
მომიახლოვდი,
მოდის, შემეხე, და ხელის გული
გადამისვი სხეულზე, როცა
გვერდით ჩავივლი და გვეედრები: ნუ გეშინია.
ჩემი სხეულის ნუ გეშინია.

Excelsior

თუ ვინმე არის—ყველაზე შორს იყოს წასული?

მე გავასწრებდი მას უსათუოდ.

ვინ იყო თქვენში უმართლესი? ესეც მიიზხარით.

მე ვარ ამ ქვეყნად უმართლესი, უნეტარესი.

და ვინ ყოფილა დარბაისელი?

მე ვარ უთუოდ სულ ყველაზე დარბაისელი.

ყველაზე ბეტად ბედნიერი თუ ვინმე იყო,

ეს მე ვარ ალბად

და არ მგონია, ჩემზე ბედნიერს

ამ სოფელში თუ უცხოვრნია.

ვის გაუცია, გაუფლანგავს ყველაზე მეტი?

ეს მე ვფლანგავდი, რაც მებადა საუკეთესო,
უძვირფასესი.

ან და ვინ იყო უამაყესი?—მე მაქვს უფლება

უდიდესი ამპარტავნობის მთელს ქვეყანაზე.

რადგან ეს მე ვარ ატლეტურ მოდგმისა

შვილი

და ვინ ყოფილა გამბედავი, თავდადებული?—

მე ვარ ამ ქვეყნად უმამაცესი, უერთგულესი,
მთელს ქვეყანაზე.

და ვინ ყოფილა თუნდაც კეთილი?

ყველაზე მეტი სათნოება მე მიიღესია.

და უმეტესი მეგობრების სიყვარული ვინ მოიხვეჭა?

მხოლოდ მე ვიცი, თუ რას ნიშნავს მრავალ

მეგობრის სიყვარულის მოყვავილება.

ვის გააჩნია მთლად სრულყოფილი და საყვარელი
კაცის სხეული?

მე არ მგონია ვისმე გააჩნდეს სხვა სრულყოფილი,
აყვარელი კაცის სხეული.

და ვინლა ფიქრობს ყველაზე მეტს ამ ქვეყანაზე?
მე მათ ფიქრებზე ვფიქრობ ახლაც ყველაზე მეტად.
და ვინ იმღერა უწრფელესი თუნდაც ჰიმნები? —
ეს მე მწყურია გახელებულ ჰიმნების მგოსანს
ამ დედამიწის შესამკობად ჰიმნების შეთხზვა.

*
* *

ასე მგონია, იმათთან ყოფნა, ვინც ეგზრმ მიყვარს,
საკმარისია.

სხვებთან სალამოს რომ ატარებდე — მასლაათობდე,
საკმარისია.

პირშვენიერი, ცნობისმოყვარე და მომლიმარე
ხორცი გარს გერთყას,
საკმარისია.

გვერდს ჩაუარო, ოდნავ შეეხო და გაეკარო
ხელით, იდაყვით, ქალის ან კაცის ხორცს
რომ შეეხო, ეს რაღა არის?

მე არ მოვითხოვ უფრო მეტ ვნებას,
მე ჩავეფლები, ვინეტარებ ამ ხორცის ზღვაში.
არის რაღაცა მამაკაცის და დედაკაცის სიახლოეში,
მათი სხეულის სურნელებაში, მათი სხეულის
გაკარებაში.

ეს მოსწონს სულსაც,
ყველა საგანი,
ყველა არსი,
ეს მოსწონს სულსაც.

*
* *

ძლევა, ერთობა, რწმენა დრო და იგივეობა.
დაუშრეტელი ელემენტები, საუნჯენი, მისტერიები,
კოსმოს, პროგრესი მარადუამული,
თანამედროვე გამოგონება,
სუყველაფერი ეს—ცხოვრებაა.
ეს ყველაფერი ჭირნახულია მრავალი ტანჯვის, ურცხვი
ბრძოლის.

რა საოცარი, ან რა ნამდვილი!
ფერხთით ღვთიური გვაქვს ნიადაგი,
ჩვენს ზევით მზეა --დროშა მარადი.
აჰა, ტრიალებს სფერო მიწისა,
და წინაპართა კონტინენტები
ძმურად განრთხმულან გაღმა მიწაზე,
(კონტინენტები მიმავლისა და თანადროულის,)
ჩრდილო, სამხრეთი; ისტმუს მათ შორის
და უზილიკო, შორეული სჩანს მანძილები,
როგორც სიზმარში იცვლებიან და ივსებიან,
აურაცხელი ხალხის მასსები მიისწრაფვიან
მათ დასაპყრობად,
აწ მოწინავე ბინადართა კანონები, ხელოვნებანი
ამკობენ ქვეყნებს
ზღვების გადაღმა.
და გაბედული მარშით მიდიან, მიისწრაფვიან
მილიონების მწყობრი რაზმები,
ამერიკელთა ასეული მილიონები.
შოდის თაობა, აასრულებს თვის ამოცანას, განაგრძობს
გზასა,

ახლა მეორე—დაასრულებს კვლავ ამოცანას
და გზას განაგრძობს.
მოიხედავენ ჩემსკენ.
უკან მოიხედავენ,
ყურს დამიგდებენ,
ჩემსკენ, უკან მოიხედავენ.

ბრუკლინის ხილწი

I.

ქველი ჩემს ქვევით!

გიყურებ,

გხედავ,

თვალი—თვალისპირ.

დასავლეთისკენ მოსჩანს ღრუბელი, დავიგულე
ქამის-სავალზე.

ისევ გიციქერი: თვალი—თვალისპირ.

ჰოი მასსებო, დედაკაცებო, მამაკაცებო,

ხართ ჩვეულებრივ სამოსებში გამოწყობილნი,
მაოცებთ მაინც!

ორთქლის ხომალდებს გადაჰყავს გაღმა

ქალი და კაცი: უშტი, უშქარი.

და თქვენ არ იცით, რა საკვირველი, რა საოცარი
ხართ დღესაც ჩემთვის,

ყველა შინისკენ რომ მიიჩქარით.

და შენაც, მგზავრო დაჰყვები ხომალდს

გაღმა-გამოღმა ამ მდინარეზე.

მეტს მოასწავებ შენც ჩემს თვალში,

ვიდრე შენ თვითონ გგონია იყვე.

2.

და შენაც, საზრდოვ უცნაურო და უხილავო,

ყოველ საგნიდან, ყოველ წუთში

რომ მიმიღია.

მარტივი, მკვრივი, შეკუმშული ხარ ერთეული,

მეც ხომ უბირი, უმნიშვნელო ვარ ნატამალი,
მაგრამ ნაწილი განუყრელი ერთსახეობის.
უკუმოქცევა მომავალში, თუნდაც წარსულში.
ეს, ზედაპირზე ამოფრქვეული მარგალიტების
მოციმციმე უცხო არილი,
ჰკრთის და კაშკაშებს ჩემი ხედვის, სმენის გარეშე.
ვხედავ და მესმის, როცა ქუჩებში დავეყილობ,—
ან გადავდივარ

ამ მდინარის მეორე მხარეს.

ქველი ფრთა-მალი

მიექანება, შორს მიმცურავი ჩემთან ერთად
შორდება ნაპირს.

სხვანიც ფეხდაფეხ ბისდევენ უკან.

რა კავშირია, ნეტავ, ჩვენ შორის?

სხვათა ცხოვრება, სიყვარული, სმენა და ხედვა
და შეჯიბრება სხვათა და სხვათა.

ერთნი შემოვლენ ხიდის ბჰეებში და მიჰყვებიან
ისევ ნაპირებს,

სხვანი ზვირთების, ქველის შემოსვლას

და შემოსევას აკვირდებიან.

და კიდევ სხვანი მანჰატტას გემებს

ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან შემოუვლიან

და შეხედავენ;

აკვირდებიან ბრუკლინის ქედებს მზის აღმოსავლით,
სამხრეთის მხარეს.

მრავალნი სხვანი შემოუვლიან ისევ კუნძულებს
დიდს და პატარას:

ორმოცდა ათი წელი გაივლის, ნახავენ ისევ

გეგების გასვლას,

ნახავენ მზესაც შუბის-ტარზე ზეწამოწეულს;

ას წელიწადში

და მეორე ასწელიწადში
კელავ მოვლენ სხვანი,
სხვანი ნახავენ,
და გაათარებსთ ნასამხრალი მზისა არილი,
ქავლის მოქცევა, უკუქცევა და განშორება.

3.

გარნა რა აზრი უნდა ჰქონდეს
დროსა და სივრცეს?
თქვენი ტოლი ვარ, ჰოი, ძმებო
მამაკაცებო, დედაკაცებო!
თუმცა თაობით ჩემზე უფრო ახალგაზრდებო;
თითქმის ისევე, როგორც ფიქრობთ,
როცა შეხედავთ მდინარეს, ან ცას,
ვფიქრობ:
მეც თქვენზე აღრე მოსული—მგზავრი
თითქმის ისეთივე, როგორც ყოველი,
ერთი თქვენგანი, ნაწილი არის განუყრელი
ურიცხვი მასის,
ასევე ვიყავ მეც ნაწილი
ცოცხალი მასის.
თითქმის ისევე,
როგორც ერთი მრავალთაგანი, ერთი
თქვენგანი, მდინარის ქავლის სიკისკასით
და ბრწყინვალეებით რომ გაიხარებს.
სწორედ ასევე მიხაროდა მეც ყველაფერი.
თითქმის ისევე, როგორც თქვენ დგახართ,
მოაჯირზე გადაყრდნობილი და თვალი თქვენი
გადაჰყვება ქავლს მიმდინარეს,
ასევე ვიდევ იმავ აღგილას

ოდესლაც მეცა და გულის ფიქრი
ქავლს მიჰყვებოდა შორს მიმდინარეს.
თითქმის ისევე, როგორც თქვენ ჰხედავთ
გემების ანძებს უშტსა და უშქარს,
მეც შევცქეროდი გემების ანძებს.
მეც გამივლია ეს მდინარე ასგზის, ათასგზის,
მეთორმეტე თვის მეთოლიებს დაეკვირვებივარ,
ვხედავდი, როგორ ფარფატებდნენ ჰარიანტაში,
ხანაც ქვევითკენ
შურდულივით დაეშვებოდნენ.
მზე გავლებული შუქის არილიც
მინახავს წყალში რომ კიაფობდა,
და მაბრმავებდა მოცახცახე
სხივის მარმაში
და ციგლიგებდა წყლის სიღრმეში მტის ათინათი.
ჩემივე სახის ლანდი სჩანდა წყლის ზედაპირზე.
სამხრეთის მხარეს, დასავლეთის
ძალალ ქედებზე რომ აღგებოდა
ნელ სურნელი მწვანე წალკოტის,
ვხედავდი: კვამლი მიჰქროლავდა სოსანის ფერი—
ქვემო ბაჟსკენ მიმავალსა გემებს ვამჩნევდი.
ვაკვირდებოდი მათ შემოსვლას
ფართე ბოლოზში,
თეთრი აფრები.
ხომალდების და კატარლების,
ლუზის დაშვება, მატროსების საქმიანობა,
რგვალი ანძები და დროშების ირაო ცაში,
დიდი და მცირე ხომალდების ბუხტიდან გასვლა,
ლოცმანის სახე და ფარდული გემის ლოცმანის.
ქავლის შლეთი და ბორბლების ქათის მოღება,

ყოველი ხალხის ალამების მალლა ფრიალი,
შებინდებულზე ჩამოშვება ფერად დროშების,
ზღვის ლინკილასებრ ნაჩუქურთმევ
ტალღის რიალი—

ორმაგ სინათლის

უცხო ციალი,

და ხომალდების ნაკვალევის რძისფერი ხაზი

(უფრო და უფრო რომ შეუცვლის ფერს შებინდება).

წყლის ზედაპირზე მომცურავი ლანდების წყება,

პირგამურული ბუქსირები, მძიმე ტივები

და კატარღები.

და აღრჩოლებულ ფაბრიკების მაღალ მილიდან

ღამეულ ცისკენ მიმქროლავი ალის ფარფატი,

და მრეში სხივი გაცხელებულ ფოლადისფერი,

მაღალ სახლების სახურავებს

გადაწვდენილი.

4.

ეს ყველაფერი—სხვა საგანი და სხვა არსება

ხომ იგივეა როგორც ჩემთვის, ისევე თქვენთვის?

გულით მიყვარდა ეს ქალაქები,

ამ მდინარების რონინება აჩქარებული,

და ეს ქალები და ეს კაცები

ყველა, ვინც ვნახე თუნდაც ერთხელაც,

ეგზომ მახლობლად მიმიმჩნევია.

აგრეთვე სხვანიც, ვინც მომხედავს

ერთხელაც უკან,

და სხვაც მრავალი, ვისაც თვალი

ჩემი მისწვდება.

(მოიწევს ჟამი... ეს სულერთია,

დავრჩები თუ არ ამაღამ თქვენთან).

5.

მერმე? ჩვენს შორის რა უნდა მოხდეს?
განა რას ნიშნავს კალენდარის რიცხვები, წლები,
ან საუკუნე თუნდაც მრავალი?
რაც უნდა მოხდეს, ეს სულერთია,
ან რა აზრი აქვს დროსა
და სივრცეს?!
მეც ხომ ვცხოვრობდი,
და ბრუკლინი თავის ქუდებით
მე მეკუთვნოდა.
... და მანჰატანის კუნძულების ფართე ქუჩებში
მეც დავდიოდი და ვბანაობდი გრულიაშეშო შემოწოლილ
ანკარა წყლებში,
მეც მაწვალებდა საკითხები საჭირბოროტო,
მაშინაც, როცა დავდიოდი მილიონებში,
მაშინაც, როცა ჩემს ოთახში ვიწეებ მარტოკა,
მეც მაწვალებდა საკითხები საჭირბოროტო.
მეც ხომ ვიყავი
ნატამალი ცვალებად ყოფნის,
იგივეობა მიმიღია ჩემი სხეულით.
ეს ხომ ვიცოდი: რაც ვეყავი, სხეულით გავხდი,
ან რაც ოდესმე უნდა გავხდე,
ჩემივე ტანით თუ გავხდები
მხოლოდ და მხოლოდ.

6.

განა მარტო შენ დაგცემია
სიბნელის ლაქა?
სიბნელემ მენაც დამაფრქვია ბნელი ლაქები,

საუკეთესო რაც ვაკეთე, მოვიმოქმედე,
 ყველა უაზროდ, საკოკმანოდ მომჩვენებია.
 ჩემი ვითომდა დიდი საქმე, დიდი ზრახვანი,
 განა სრულყოფას მოკლებული არა ყოფილან?
 განა შენა ხარ მარტო ამ ქვეყნად, რომელმაც
 იცის, რა ცუდია, რომ იყვე ცუდი?
 მრავალგზის მეც კი დამისკვნია უკულმა ნასკვი,
 მეც მიყბედნია, მეც შევრცხვენილვარ,
 მეც გავბუტულვარ, მეც მძულებია,
 მომიპარავს და მიმიქარავს.
 გავბრაზებულვარ, ავნებულვარ მეც სიძულვილით,
 მქონია. ვნება, და გამხელა ვერ გამიბედავს.
 ჩემშიც ბუდობდენ: მგელი, გველი, მურტალი ღორი,
 მზაკვრული თვალი, სიტყვა სუბუქი, სიძვა და შური,
 ეს ყველაფერი არ დამკლებია,
 არ დამკლებია არც სიძულვილი, არც სიზარმაცე,
 არც სისაძაგლე და გულქვაობა,
 მეც ხომ ვიყავი ერთი ვინმე მრავალთაგანი,
 მეც მრავალს შორის მიცხოვრნია, მიმოქმედნიან,
 მეც მეძახოდენ ახალგაზდებში
 ერთხელ სახელებს საალერსოს, კნინობითს სახელს.
 მეც ხომ მიგრძენია მათი ხელები, (ჩემს გვერდით
 მდგარნი
 შემაველებდენ კისერზე ხელებს), და მათი ხორცის მიკარება
 მეც ხომ მიგრძენია?
 მინახავს ბევრი იმათგანიც, ვისაც ვუყუვარდი,
 ქუჩებშია,
 გემზე
 და კრებებზე, თუმც არ მჩვევია არც სიტყვისა თქმა და
 არც კამათი.

და მიცხოვრია იმავე ცხოვრებით, მეც სხვებთან ერთად,
(ისეთივე გაცინება და დაძინება,)
და მე იმავე როლს ვასრულებდი, როგორსაც ყველა,
იმავე ძველ როლს. ეს ხომ ისეთი როლი იქნება,
როგორიც თვითონ ჩვენ მოგვინდება,
თუ მოვინდომეთ იქნება დიდი,
თუ ჩვენ გვწადია თუნდაც პატარა,
ხანაც ორივე: დიდიც, პატარაც

7.

მინდა, რომ უფრო მოგიახლოვდე.
და ის აზრები, ახლა რომ გაქვს შენ ჩემ შესახებ,
მეც მქონდა ერთხელ შენს შესახებ, სწორედ ასეთი,
დიდხანს ვფიქრობდი შენზე ერთხელ მეც დაყინებით,
(ვიდრე შენ თვითონ გაჩნდებოდი ამ ქვეყანაზე).
ვინ იცის, როგორ გამომადგა მე ეს აზრები?
ვინ იცის, როგორ განვიცადე შენი ცხოვრება?
ვინ იცის, სივრცის, დაშორების მიუხედავად,
მართლაც გიცქერი მაშინ, როცა შენ ველარ მხედავ?

8.

ახ, რა იქნა ჩემთვის უფრო გასაოცარი,
თუ არ მოანჰატან
ხომალდების ანძების ტევრი.
ქველი, მზის დასვლა, ქველის რონინი,
ლინჭილასავით დაგრეხილი ტალღათ ლიელივი,
მეთოლიები მოსრიალე ჰარიანტაში,
ან და ხომალდი შორს მიმავალი,
დაგვიანებულ აფრის შეხედვა,
ან რა ღმერთები იქნებოდა ჩემთვის სანუკველ,

თუ არ ისინი, ვინც მე ხელზე ხელს მომკიდებენ,
ვინც მე ერთხელაც აგრე მიყვარდა, ვინც მეძახოდა
საალერსო ბავშვობის სახელს?

ან რა იქნება უფრო ნაზი, ვიდრე კავშირი,
მე რომ მაერთებს ამ კაცებთან და ამ ქალებთან?

(მე რომ სახეში მიცქერიან, მაკვირდებიან)

რა არის, ნეტავ, რაც გამადნობს მე შენს წიაღში,
შენ რომ გადმოგცემს ჩემსა ზრახვას და გულის ნადებს?
ხომ კარგად გვესმის ჩვენ ერთმანეთის?

რაც მოგაწოდე, მე უსიტყვოდ, შენ ხომ მიიღებ?

და რის მიწვდენაც არ შეეძლო მეცნიერებას, არც ქადა-
გებას,

თუ არის იგი დღეს მიღწეული?

9.

იღინე, ქველო! თან გადავყვები შენს მდინარებას.

იცეკვე, ქველო, თქვენც, ტალღებო, ვერცხლის ჩუქურთმის!

თქვენაც, ღრუბლებო, ძოწისფერო წყნარი დაისის,

მასვით ციმციმი ოქროსფერი შებინდებულზე

(ან ჩემსა შემდეგ მომავალთა ქალებს და კაცებს!)

ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდის გადაიყვანეთ მილიონები.

თქვენაც, ანძებო, ქედმაღალნო მანჰატტანისა!

თქვენაც, ბრუკლინის გორაკებო, ცად ალანძულნო!

შენაც, გონებავ, ცნობის მოყვარევ, ნუმც შეგიწყდება მაჯის-

ცემა უკუნისამდე!

წამოისროლე საკითხები და პასუხები.

და, ნატამალო, ყოველივე წარმავალ ყოფის.

არ დაიშა:იტო,

უნდა დარჩე არსი ყოვლადი.

და თქვენც, თვალებო,

მოსიყვარულე, ცნობის მოყვარე თვალებო, თქვენაც
გადაიხედეთ ამ ქუჩებში, სახლში, კრებებზე.

და ჭაბუკების წკრიალა ხმებო, არ მომერიდოთ,
დამიძახეთ

ბავშვობის ჩემის ტკბილი სახელი.

ცხოვრებავე ძველო და ძველებურო! შენც შეასრულე
იგივე როლი, რაც ისევე უნდა ასრულდეს.

იგივე როლი დიდი და მცირე, ეს გააჩნია,
ვის როგორაც ეპრიანება.

იფიქრე თუნდაც, შენც მკითხველო, როცა მკითხულობ,
ხომ არ გიციქერი

ჯადოსნური ძალის წყალობით?

იფრინეთ თქვენაც, მეთოლიებო!

გასწიეთ ზღვისკენ, ან იფრინეთ რიალით
ცაში;

მოდით, გემებო, მომავალნო ქვემო ბაიდან!

აჰყევ-დაჰყევით ამ მდინარეს ზევით და ქვევით,
თქვენ, ბუქსირებო, ხომალდებო და კატარლებო,
თქვენც იფრიალეთ ჰარიანტაში—

დროშებო ყველა ეროვნების, ყოველი ხალხის,
და ჩამოეშვით სიმაღლიდან შებინდებულზე.

თქვენაც, ქარხნების საკომურებო,

ამოაფრქვეით გაცხელებულ ხახისგან ცეცხლი,
მრეში აღმური რომ გადასწედეს

ამ სახურავებს.

და ჩემს სხეულზე და შენს სხეულზე ჰქროდეს ღვთიური
ნელ სურნელება.

თქვენც ქალაქებო, მშვიდობა თქვენდა!

მდინარეებო, შორეთის მგზავრო, მოიტათ თქვენი
ქირნახული

და თქვენი ტვირთი.

გავრცელდი შუნაც, ჰოი, არსებავ,
ყოველ საგანზე უნამდვილესო!
თქვენც დაიცავით თქვენი ადგილი,
მარადქამობის საგნებო მკვიდრნო.
თქვენ ხომ გიცდიათ, ახლაც ხომ იცდით,
კეკლუცნო, ტურფა, უცხო ფარეშნო,
აჰა, მზადა ვართ თქვენს მისარქმელად, თავისუფალი,
აზრით და ზრახვით თქვენს აღსრულებას
დახარბებული.
ნუ გაგეშორდებით, ნულარ შეგვაცდენთ,
მოგიხმართ კიდევ,
და დაგთესავთ ჩვენსავე წიაღში,
თუმცა ჩვენ თქვენი არა გვესმის, არც გაგვეგება,
მაინც. გვიყვარხართ, აღსასრულში როცა გიხილავთ,
და თქვენი გზებიც მიესწრაფვის მარადქამობას.

მძინარენი.

1.

მე ყოველ ღამეს მიყვები სულს
ნელის ნაბიჯით, უხპოდ, უჩუმრად,
და მძინარეთა დახუჭულ თვალებს
მივაშტერდები ღია თვალებით,
დავხეტილოვ, გზა-დაკარგული, მთვარეული,
მგზავრი უსაზმნო.

პათეთიური სახეები, დაღუმებულნი,
სუნთქავენ მშვიდად, როგორც აკვანში ბავშვები ჩვილი,
ამ ცხოვრებისგან დაქანცულთა მკრთალი სახენი, და
ნრღაბები

მიცვალებულთა თეთრი, სულ თეთრი, ფერმიღეული
სახეები

ლოთების და ონანისტების,

პირ-დაბჩენილი სახეები მიცვალებულთა ვერან მინდვრებზე,
ბრძოლის ველებზე,

შეპყრობილები და გიყები საგიყეთებში, წმინდა,
რევენნი, ახლად შობილნი, (რკალის გადაღმა რომ
ისწრაფვიან) და მომაკვდავნი, (რკალის გადაღმა რომ
ისწრაფვიან)

და მოპრევია სულ ყველას ღამე,

სულ ყველას ღამე დაუფლებია.

ცოლი და ქმარი დაწოლილან, სძინავეთ ორთავეს,
და დებსაც ერთად ერთ ლოგინში დასძინებიათ,
მამაკაცები სიყვარულით გადახვევიან ძილში -
ერთმანეთს,

დედა იხუტებს პატარას მკერდზე,
სძინავთ ბრძებს, მუნჯებს, და ტუ'ალიც საპყრობილეში
ძილს მისცემია,

და უძლებ შეილსაც დასძინებია,
ან როგორ სძინავს სიკვდილით დასჯილს? სიკვდილს რომ
ელის ხვალ გარიჟრაჟზე?

მისმიერ მოკლულს ან როგორღა დაეძინება?

სძინავს დედაკაცს უნუგეშოდ შეყვარებულსაც,

სძინავს მამაკაცს უნუგეშოდ შეყვარებულსა,

სძინავს იმ თავსაც, ვინც მთელი დღე

ფულებს ითვლიდა, და სძინავს ყველას, ვისთვისაც

გული ბრაზსა- და ღალატს აუმღვრევია.

ბნელში ვდარაჯობ, შევეცქერი იმათ, ვინც ვერ ისვენებს

და უმეტესად ვინც იტანჯება,

მსურს დავამშვიდო, დავაშოშმანო, ვუახლოვდები, ხელს

გავაველებ მათს სიახლოეს.

მოუსვენარნი ისვენებენ და იძინებენ.

ჰა, გავარღვიე ბნელი ქაოსი,

სულ სხვა სულები, სხვა არსებანი,

მიწა გამშორდა და გამეყარა —

ჩაიჭრა ბნელში ეს დედამიწა.

თვალი მოჰკვარი, შეენიერი იყო ამ წუთში,

და ისიც ვიცი, სხვა დანარჩენიც შეენიერია,

რაც თავისთავად არ არის მიწა...!

ასე დავდივარ, ამ საწოლიდან იმ საწოლამდის,

ვიძინებ ხან აქ, ხან კიდევ სხვაგან,

და ჩემს სიზმარში მეზმანება სხვათა სიზმარი,

სხვათა ზმანება.

მე ვარ თვით ცეკვა, თქვენ დაუქარით,

თავბრუ მეხვევა და დავბარბაცდი!

მე ვარ მარადეამს მომღიძარი ახალი მთვარე
ორმაგ ნათელში, ვხედავ, სიტუროფე როგორ
გვეცლება და გვემალება.

და თვალი ჩემი სადაც მისწვდება, ყველგან
სულელები ნაირ-ნაირი ჰრბიან, მიჰქრიან,
მიიჩქარიან, ზღვის უფსკრულისკენ, სადაც
ხამდვილად არც ზღვა არის, არც ზღვის
უფსკრული.

ასე მგონია, თვითონ მე ვარ მათი ოსტატი,
თავს მევლებიან, დამფარფატებენ; სადაც არ
წავალ, თან დამყვებიან.

მივდივართ მარშით, არ გვაკლია ბუკი, ნაღარა,
და დროშების მალა ფრიალი.

მე თვით გახლავართ მსახიობი, ქალი ან კაცი,
ამოწრჩეველი პოლიტიკურ პიროვნებების,

მე ვარ უცხოეთს გადახვეწილი და სამშობლოდან
გაძევებული, ვარ დაჰნაშავე, ვარ ტუსალი,
გუშინ რომ იჯდა ამ მავთულის ხლართის გადაღმა,
თვითონ იგი ვარ, ვინც გაიტქვა წელან სახელი,
ან თვითონ ისიც, ვინც მერმისში სახელს გაითქვამს,
მე ვარ ბლუკუნა, კაცო ფრიალ წარმოსადგენი,
ვარ გარღვეული,

ვარ უილაჯო,

მე ხომ იგი ვარ, ვინც თმა შეიმკო და თმა დაიწნა,
თავის მიჯნურის მოლოდინში გაძოიკაზმა.

ისიც მოვიდა, დაყოვნებით, მაინც მოვიდა
მაშინ, როდესაც ბინდი დაეშვა.

ბნელო, — მიმიღე, შემივრდომე და გაორკეცდი.

და წაგვიყვანე ჩვენ ორივენა, ჩემი მიჯნურიც
თან წაიყვანე, ჩემი მიჯნური

მე არ მეშვება,
მოგეხუტები, მკერდს ჩაგეკვრიბი და ჩაგიფლები
მე შენს წიაღში, როგორც მაშვრალი ჩემს სარეცელში.
მე მას ვეძახდი, მე მან მისმინა,
და დარკავა მან ადგილი მიჯნურის ჩემის—
ხმაგაკმედილი თან წამომყვა სარეცელიდან.
შენ ჩემ მიჯნურზე უფრო ნაზი ყოფილხარ, ბნელო,
მისი სხეული ოფლიანი მეჩვენებოდა,
ავაპყარ ხელი, გავიშვირე ოთხივე კიდით,
მინდა შევიპყრა მე სხეული, არსი ულანდო,
შენ რომ გესწრაფვის.
მისმინე, ბნელო!

რალაც შემეხზო—ვინ იყო, ნეტავ?
მეგონა: სატრფო თუ გამშორდა და გამეცალა,
მარქვით, სულ ერთი არ უნდა იყვეს
ჩემი მიჯნური, თუ ეს სიბნელე?
მომესმის ბნელში გულისცემა, მე მას მიუყვები, თვალს
მივეფარე.

2.

ტანზე გახდილი მძინარენი... რა ლამაზია!
ხელჩაკიდულნი ვადადიან ტანზე გახდილნი
მთელს ქვეყანაზე.
აღმოსავლიდან დასავლეთამდის,
ხელჩაკიდულნი აზიიდან და აფრიკიდან,
ევროპიელნი, ამერიკელნი — ხელჩაკიდულნი,
ბრძენი და ხალხი ხელჩაკიდულნი, ქალი და კაცი
ხელჩაკიდულნი,
შიშველი ხელი მძინარ ქალწულის მისივ საყვარლის
მკერდზე ისვენებს და ორივენი ერთი-მეორეს ეხუტებიან
(ვაჟის ტუჩები ქალის კისერზე)

მამა ხელს კიდებს თავის ვაჟებს მცირე წლოვანებს
აწ წამოზრდილებს,

განუზომელი სიყვარულით ხელზე ხელს კიდებს,
ვაჟიც ხელს ჰკიდებს თავის
მამას, განუზომელი სიყვარულით ხელზე ხელს
ჰკიდებს,

დედის ქალარა თმა ბრჭყვიალებს
მისივ ასულის ყირმიზ მკლავებზე,
მონის ძახილი შეუერთდა ბატონის ძახილს,
ბატონი იგი ესალმება თავისვე მონას,
საპყრობილედან გამოვიდა ეგერ ტუსალი,
და კეთროვანი განკურნებულა,
ბოლო მოელო ოფლს და ციებას, და განიკურხა
სნეული მკერდი,

დარდით გაესილი მაშვრალის

თავიც განთავისუფლდა.

მეც გავეყარე ბნელს სამუდამოდ,

ცოტა ხანს მინდა მეც მოგშორდე, ჰოი ლამეო,
მაგრამ ისევე მოვალ შენთან, რადგან მიყვარხარ
ან შიში შენი რისთვის უნდა მექნეს მე გულში?
არ მეშინია, ხომ უვნებლად დაგახწიე
თავი, ლამეო?

მე მიყვარს დღეცა, პირნათელი, პირგაბადრული,
მაგრამ არ დავთმობ მე არც იმას, ვინც მე წარმომშვა-
მინდა ხანდახან დავაყოვნო ლამის წიალში,

მინდა ერთგულად მივყვებოდე ნათელ დღეებსაც,
მაგრამ, დედამ ჩემო ლამეო, არ დავთმობ შენაც,
მე ისევე მივალ, შენს წიალში კვლავ მოვბრუნდები.

*
* *

დიდია ჩემთვის ხილულეთი, დიდი—ნათელი,
დიდია ზეცა და დედამიწა,
დიდია ცაზე ვარსკვლავები მარადქამული:
დროცა და სივრცეც,
დიდია მათი კანონები, ეგზომ მრავალი და საოცარნი,
(საესე სრულქმნისკენ მისწრაფებითა!)
და უფრო დიდი ჩემი სული უჩინარი და უხილავი,
რომელიც ყველას შემცნობია, ყველას შემცველი,
იგი ანათებს ცის ფირმამენტს და ამ ვარსკვლავებს,
სულმა ხმელეთი გადათხარა, ზღვა გადიარა,
ზღვა გადიარა,
(ეს ყველაფერი ან უშენოდ რა იქნებოდა, ჰოი,
სულსო, უხილავო და უცნაურო?)

*
**

შენ ხომ გაჰბედავ, სულო ჩემო,
უცნობ ქვეყნისკენ გასეირნებას,
სადაც არა სჩანს არც ბილიკი,
არც ნატერფალი?
სად არც რუკები არ არსებობს,
არც წინამძღოლი,
არც ხმა მოისმის; აღარც ძახილი,
არც კაცის ხელის გაკარება, და აღარც სახე
სიცოცხლით სავსე, აღარც თვალები,
არც ტუჩები იმ ქვეყანაზე.
მე მას არ ვიცნობ, სულო ჩემო,
არც თუ შენ იცნობ იმ ქვეყანას, ორთავეს
გვიცდის ცარიელი სივრცე, სიგანე,
იცდის ყოველი ამ მხარეში, ჯერ უხილავი
და უზმანები,
ვიდრე ბორკილი დაწყდება ყველგან,
ყველა ბორკილი დროის და სივრცის,
როცა ვერც ბნელი, ვერც სიმძიმე, ველარც გრძნობებო-
ან სხვა კავშირი ველარ დაგვძლევს, ვერ მოგვერევა:
მაშინ სივრცეში გაგქანდებით თავაწყვეტილნი,
მაშინ ორივე ჩავინთქებით
დროში, სივრცეში.

ნათელი ზუაღამე.

სხეულო,

უამი ეგ არის

შენი

და: ქროლვა შენი გამოუთქმელში.

შორს ეგ წიგნები, გათავდა საქმე,

ჰა, ამოსცურდი. და ამობრწყინდი

უტყვი

მკვრეტელი

ყოველი არსის

და შემცნობი ელემენტების:

ლამის, სიზმარის, სიკვდილისა და ვარსკვლავების.

მოგვლელი

1.

მოხუცებული და მოდრეკილი
ვუახლოვდები თაობას ახალს
და ვიხედები წარსულისკენ, ვიგონებ განვლილს
და აღსრულებულს, რომ ვუპასუხო ამ ნორჩ მოჩოთებს.
ეს ქაბუკები, ეს ქალწულები, თავაზიანად მეუბნებიან:
გვიამბე რამე, ბერიკაცო, გვიამბე რამე!

(გახელებული და ანთებული... ვიყავ, მეწადა დავიდარაბა,
ფიცხელი ომის გაჩაღება მენატრებოდა,
მაგრამ თითები დამექანცა, გამიკრთა ფერი.

და გადავწყვიტე:

ეჰ, მივხედავ ისევ დაქრილებს,

ან და მღუწარედ მიეუჯდები მიცვალებულებს.)

ისევ სჯობია შოგონება

ამ სურათების, უემური ვნების, და უძლეველი გმირთა
ამბების,

თავგანწირულად თუ იბრძოდნენ მათში ესენი—(ისინიც
ასევე თავგანწირვით ებრძოდნენ ამათ!)

ამ ქვეყნის მძლეთა ხოტბის შესხმა ყველას აჯობებს.

გვიამბე, როგორ უბრძოლიათ თავდადებულებს,

ან შენ რა ნახე ან რას გვეტყვი ამათ შესახებ?

რა დაგრჩა გულში, ან ხსოვნაში საშინელ ბრძოლის,
ამ სისხლიანი შეტაკებების, ალყის, თავდასხმის თუ გვეტყვი
ამბებს, თავგადასავალს, საგმირო საქმეს?

2.

ჰოი, ქალწულნო, ჰოი, ვაჟებო, ვისაც ვუყვარვარ და ვინც
მე მიყვარს,

თქვენი ნათქვამი, თქვენი კითხვები განვიღო დღეების
 საოცრებას მომაგონებენ,
 მარდი მხედარი, ხანგრძლივ მარშით გაწამებული, მე
 ოფლიანი,
 მტვერში დასვრილი, ჰა, შევიკერი ფიცხელ
 ბრძოლაში, თავაწეული მივექანები, რადგან შეტევა
 დაწყებულია,
 და მე პირველი შევიკერი მტრისთვის წართმეულ
 სიმაგრეებში,
 მაგრამ დაჰხედეთ, როგორც მდინარე მსწრაფლ
 წარმავალი, გაჰქრა ყოველი,
 გაჰქრა ყოველი, მე არ დავრჩები მებრძოლთა ბედის
 თანაზიარად,
 ქირის და ლხინის თანაზიარად.
 (და ორივეს ვიგონებ ახლაც, კენესა მრავალი,
 ლხენა სულ მცირე, მაინც ვიყავი მე კმაყოფილი).
 მაგრამ...
 დუმულში, ცხადმანებაში, როცა მოგების, წარმავლობის
 ვნების ქვეყანა არ იშლის. ყაყანს—
 ეღვის სისწრაფით დავიწყებას ეძლევა ყველა,
 იზრდება ტალღა და წარეცხა სილაზე კვალი,—
 ისევ მუხლებით დაუღალავით გავდივარ კარში,
 (და შენაც, ძმაო, ვინც გინდა იყო,
 მომსდიე უკან, დაიცავი მტკიცე დუმული,
 გამაგრდი გულით)
 მომაქვს ბინტები, წყალი, ღრუბელი,
 მივეჩქარები ჩემ დაკრილებთან.
 ბრძოლის ველიდან მოყვანილნი აქ დაუყრიათ,
 და სისხლი მათი ფაღაჯდები ღებავს ამ ბალახს.
 და ამ ნიადაგს.

მივეჩქარები დაკრილების კარაფისაგან, ან ლაზარეთში,
და სათითაოდ ჩამოვლული მე ამ საწოლებს.

უყურადღებოდ არ დავეტოვებ მათში აოავის,
ფეხდაფეხ მოქსდევს თანაშექწე, ჯამი აქვს ხელში
და ძველი გეჯა და ეს სულ მალე
გაივსება სისხლით და ჭინჭით, დასვრილი ჭინჭით.
ჩეპი მუხლები არ იღლებს, და ჩემი ხელი მათს კრილობებს
მიეკარება,

ვარ უდრეკალი, ტკივილები თუმცა მძაფრიც,
(ეს ხომ უცილო ტკივილებია!)

აგერ თვალები დაქანცული შეელას თხოულობს.
ბედჩავე ვაჟი! მე არ გიცნობდი, ძმაო, აქაძდის,
ასე მგონია, მე ამ წუთში შენს სანაცვალოდ,
შენს დასახსნელად მე მოვეკვდებოდი.

3.

განვაგრძობ ჩემს გზას (განიღეთ, კარნო, ამ
კარვეთისა და ლაზარეთის). დამსხვრეულ ქალას
მინდა მივხედო (შე საცოდავო ჩეპო
ხელო, ათოთოლებულო, აო გამოედო ე მაგ კრილობებს!)
ვშინჯავ ტყვისგან განგმირულ კისერს,
ამ ცხენოსანის განგმირულ კისერს.
ისმის ხროტიანი,

შუშის თვალები მე მამზერიან მზეგადასული,
მაგრამ სიცოცხლე მაინც იბრძვის,
თავს იგერიებს.

(მოვედ. სიკვდილო, ტკბილო სიკვდილო,
ისმინე ხვეწნა, შემიწყალე, მოვედ სიკვდილო!)
მოჭრილი მკლავის სახსრის ბოლოში აქ საჭაროა
გამოშვება სისხლის, თელგამის,
თავის ბალიშზე იქ სწევს მსედარი და თავი განზე გადაუკლია,

თვალ-დახუჭული წევს იქ მხედარი და მისი სახე
სიკედლისგან დაფეთებულა.

აგერ მეორე კრილობაა, მძიმე კრილობა,

დააყოვნდება ორიოდე დღე

და ნახე, მერმე ეს სხეული როგორ დაინგრეს

და დაიშალოს

და ნახეთ მაშინ მისი სახე გაყვითლებული

ვწამლობ ტყვიისგან განგმირულ

ბეჭებს, ფეხს გადაჩეხილს, ტყვიით

დაცარულს, გაებან საზიზღარ, საძაგელ

მუწუკს და თანაშემწე ჩემს უკან მდგარი

მომაწვდის ჯამს და წყლით სავსე გეჯას.

მე ერთგული ვარ, არ დავეხსნები,

მოტეხილ ხელებს, გადამტყდარ წვივებს,

ამ კრილობებს და მუცელს გაფატრულს.

და სხვა დანარჩენს, აურაცხელს ვუვლი

ამ ხელით, მაგარი ხელით (გულის სიღრმეში

ცეცხლი მედება, გულის სიღრმეში იწვება რაღაც!)

4.

ისევ დუმილში, ცხად ზმანებაში

ვიწყებ ხელახლა, მოვდივარ ისევ მოკიბული გზით
ლაზარეთებში.

მოსიყვარულე ხელებით ვუვლი მე ამ კრილობებს

და ამ ნამსჭვალებს ასე ვამშვიდებ და ვაშოშმინებ,

გაწამებული, მოუსვენარი დაკრილთა ახლოს,

ვათენებ ლამეს, ამ შავბნელ ლამეს.—

ბევრი მათგანი ჯერ ნორჩია, ჯერაც. ქაბუკი

(და მრავალ მხედარს შეჟღელია

ჩემთვის კისერზე მთრთოლვარე ხელი

მრავალ მხედარის კოცნა მატყვია

ამ თეთრი წვერით დაბამბულ ტუჩზე!)

*
* *

არ შემრჩენია არც სიკაბუქე,
არცა სინაზე,
არ მინდა დროის გატარება უქმი ლაყბობით,
მე სალონებში სიარული არ მემარჯვება,
არ მემარჯვება არცა ცეკვა, არც ჯამბაზობა,
მეცნიერთ წრეში დუმილს ვინახავ,
მათ შორის ყოფნა მეუცხოება,
რადგან მე ბედმა არ მარჯუნა მეცნიერობა,
არცა შეენება, არცა ცოდნა,
მხოლოდ ზოგიერთ რაჟებში მეც მიღვეს
წილი: ომში დაკრილებს ვუვლიდი
ერთხელ და მომაკვდავებს ვაშოშმინებდი.
როცა ვიცდიდი ან ბანაკში შემოლამებულს
დამიწერია და შემითხზავს ეს სიმღერები.

მომეცი მღუმარე, ვარჯარა მზე...

I

მომეცი მღუმარე, ვარჯარა მზე, აღსავეს სინათლით
და ელვარებით,
მომეცი ნაყოფი მწიფე და წითელი, რთველში რომ ამშვენებს
ხეხილის ბაღებს,
მომეცი მინდორი, სად ბალახი მოუთიბავი
ხარობს და იზრდება,
მომეცი ხე და მტევანის სქელი ჯიქანი,
მომეცი ნორჩი იფქლის მარცვალი,
მომეცი ცხოველი მხიარული და უდარდელი
კმაყოფილების მაგალითი მისაბაძველი,
და მისისიპის დასავლეთის უცხო ტაფობზე
ეს ღამეები მყუდროებით ჩამოხუნზლული; მინდა
ავხედო ვარსკვლავებით მოქედულ ზეცას;
მომეცი ბაღია, ყვავილებით იყოს ნაქარგი,
გავიდე დილით, გავიარო, მიმოვიხედო,
მომეცი ქალი, საყვარელი გულტფილი ქალი,
რომლის ალერსი მოსაწყენი აღარ იქნება.
ბავშვი უზადო, ვიქნე თუნდაც ამა ქვეყნიურ
ყაყანისგან დაშორებული, ვიყვე სოფელში
და მივუჯდე მყუდრო კერძას,
მინდა ვიმღერო, ან ლექსები თავისუფალი,
ჩემთვის მარტოკა ჩემივ სმენის გასაგონებლად,
და მომანიჭე მარტოობა, სადა ბუნება,
ჰოჲ, ბუნებავ, მომენატრა მე სიტკბოება
ისევე შენი... ქალწულებრივი!
ყველაფერს ამას მე ვინატრი (რადგან მომბეზრდა

მოუსვენრობა, ომი და ბრძოლა),
ეს ყველაფერი მინდა მქონდეს, მსურს მომენიჭოს,
ეს ყველაფერი დია ჩემთვის სასუ-ველია, მაგრამ
ქალაქი მაინც მიყვარს, ჩემი ქალაქი;
დღისით და ღამით, წლითი-წლობამდის
ასე დავდივარ,
ო, ქალაქო,
მე შენს ქუჩებზე,
რადგან მიზიდავ მაგნეტურ ძალით
და აღარ მიშვებ საზღვარს გადაღმა,
შენ ასაზღოებ სახეებით ჩემს სულს
დამშეუფლს.

2.

შენ გქონდეს შენი ვარვარა მზე,
შენ გქონდეს შენი მღუმარე მზე;
შენ გქონდეს, ჩემო დედა-ბუნებაე,
შენი ტყეები—ეგ სავანე მყუდროობისა,
ეგ სათიბები იონჯისა და ველ-მინდვრები,
და ეგ ბაღები მწიფე ხილით შტო-დატვირთული,
ქერის მინდვრები და ფუტკრების წყნარი ზუზუნი,
მოიტა ქუჩის სახეები,
ქუჩის ლანდები
ფილაქანებზე უშტი, უშქარი—
ახალ-ასალი სახეები მომნატრებია,
დედაკაცები, ამხანაგები და საყვარლები
უშტი, უშქარი.
მაცალე ერთი
ამ ახალი თვალების ნახვა, მაცალე
ერთი ამ ახლების ხელის მოვლება,

მომეცით მეტი სანახაობა,
და მანჰატტანის ვრცელი ქუჩები!
მომეცი ისევ მე ბროდვეი—სადაც ამაყი
მარშით დადიან გზაზე
ჯარისკაცები,
მომეცით დაფის და ნალარის, საყვირის ხმები,
მომეცით ვრცელი ნაპირები,
დიდ ვერფები, შავი გემებით
ხომალდებით კიდემდის საესე,
ო, ეგ ცხოვრება
მრავალგვარი, მოუსვენარი
ეგ არის ჩემთვის!:-..
ამ თეატრების, ჰოტელების
და ამ შარების აურზაური
ეგ არის ჩემთვის...
გემის სალონი,
შელამებულზე ჩირალდნოსანთა პროცესიები,
ეგ ბრიგადები, მწყობრი მარშით
ომში რომ წავლენ, ხალხი,
ფუსფუსი ღრიანცელი, ვნება,
ზანზარი,
მანჰატტანის
ვრცელი ქუჩების უცხო რიალი,
დაუდგრომელი მოყაყანე ქუჩების ხორო,
თოფების ელვა, იარალის
ჟღერა, ჩხარუნი (ამ დაჭრილების
შემოხედვაც სანაკველია),
მანჰატტმან—მასები ამ ველური
ხოროს ყიჟინით,
ამ მანჰატტანის სახეები და თვალები
გასაოცარი.
ეგ არის ჩემთვის.

მზვილოაით!

დასასრულ, მინდა გაგიმკლავნოთ აწ მომავალი.
ვიცი, ვიდრემდის ჩემი ბალახი მიწის პირიდან
ამოვიდოდა, გითხარით ერთხელ:
ჩემი ძახილი სიხარულით სავსე, ძლიერი
გაგიმკლავნებდათ აღსრულებას, ნეტარ სრულყოფის,
თუ ამერიკა შეასრულებს, დადებულ აღთქმას,
თუ ამ ქვეყნებში ასეული მილიონები
თავაწეული გაივლიან ძლევა-მოსილნი,
და დანარჩენიც მოისურვებენ ასევე დიდი
და ბრწყინვალე ხალხად გახდომას,
და თუ უზადო ამერიკელ ქალების დვრიტა ახასიათებთ
ამერიკის უზადო დედებს,
მაშინ ამაგი მოგვეზღვება ჩვენც შესაფერი.
მე ჩემი თავი საკუთარი ძალით ავსწიე,
მე ვუმღეროდი სულსა და ხორცს, ომსა და ზავსა,
მე ვუმღეროდი თავის დროზე სიკვდილს, სიცოცხლეს
მე ვუმღეროდი დაბადებას და წარმოშვებას და ხომ გაჩ-
ვენეთ: წარმოშვება არს მრავალგვარი.
არსება ჩემი მივაწოდე მე ყოველ თქვენგანს,
მტკიცე ნაბიჯით დავდიოდი კილით-კიდემდე.
და როცა ვნება ქარმაგია ჯერ კიდევ ჩემი, ვჩურჩულებ
ჩემთვის: იყავ მშვიდობით!
აიღე ხელი ამ მამაკაცის, ამ დედაკაცის
ხელს შეეხე უკანასკნელად.
მე თქვენ გახარებთ—ბუნებრივი კაცების მოსვლას,

მე თქვენ გახარებთ—გამარჯვებას სამართალისას,
მე თქვენ გახარებთ ერთობას და თავისუფლებას,
მე თქვენ გახარებთ აღსრულებას სიამაყისა და სიწრფელისას,
მე თქვენ გახარებთ—კავშირს, რომელიც ჟამიდან ჟამზე
უნდა განმტკიცდეს,

მე გაგიმელავნებთ დიდებასა და ბრწყინვალებას
(ფერი გაუკრთეს მათს წინაშე ყვილა აღორძელს)

მე გაგიმელავნებთ თქვენ ერთობას და გეუბნებით:
იგი მარადი და უსახლო უნდა შეიქნეს.

მე გაგიმელავნებთ კაცსა და ქალს ჩვენსკენ მომავლთ (ეგებ
შენა ხარ იგი, ძპაო, ან, დაო ჩემო (იყავ მშვიდობით!))

მე გაგიმელავნებთ დიდ პიროვნებებს, უზადოს, ძლიერს,
როგორც ბუნება,

ნაზი,

მგრძნობელი და აღჭურვილი ყოველ დროისთვის;

მე ვარ მირიად ჭაბუკების მახარობელი, მათ უნდა
ექნეთ ტკილი სისხლი, ძლიერი ნება და სილამაზე,

მე ვარ ახალი, ძლიერ რასის მახარობელი.

ნეტავ თუ არის ამ ქვეყანაზე სამარადჟამო

„იყავ მშვიდობით“?

ჰე, ამხანაგო, ჩემი წიგნი

არ არის წიგნი,

ვინც კი ოდესმე მას შეეხება—

კაცს შეეხება იგი ყოველთვის,

(თუ მოვა ლამე, ჩვენ ყველანი იქ შევიყრებით)

ეს მე ვარ, შენ რომ გიპყრია ხელში,

ეს შენ ხარ, მე რომ მიპყრია ხელში,

ამ ფურცლებიდან მე შენს ხელში

ვარ გადმოსული—მე მეძახოდა ერთხელ

სიკვდილი და მეც მოვედი.

ო, როგორ ტკბილად მეფერებიან
შენი თათები!

და შენი სუნთქვა დამეცემა მე გულზე
რთვილად, და მაჯისცემა დააყუჩებს
აწ სმენას ჩემსას.

კმარა, მომხდარი, წარმავალი ყოფილა თურძე,
თანდროული წარმავალი, ერთხელ ყოფილი,
და, ძმაო ჩემო, ვინც არ უნდა იყვე ამ ჟამად,
ჰა ჩემი კოცნა და გახსოვდე სამუდამეამოდ,
მე იმ კაცს ვკავარ, დაღალული დღიური
შრომით რომ გაეცალა თანამომძმეთ,
თვალს მიეფარა.

და ადამიტურ ქმნილებისგან ახალ ფორმებში
გავითქვითები ამ უცნაურ, უცხო სფეროში,
და ბრწყინვალეა არზმანებული გარს მახვევია,
როგორც ირისე.

გახსოვდეს, მაინც ისევ მოვალ, რადგან მიყვარხარ,
მე გავეყარე მატერიას ამ სამყაროსას,
შემოაქცალა მე სხეულება და არყოფნაში გადავედი,
სრული ტრიუმფით
უკანასკნელად მოგაწვდინე: „იყავ შშვილობით“!

ბიოგრაფიის მაგიერი.

ვოტ უიტმანი დაიბადა 1819 წ. 23. VI, უესტჰილში (ლონგ ისლენდზე) ნევ-იორკის შტატში. მამა მისი, ვალტერ უიტმანი, უბრალო დურგალი იყო. დედა წარმოშვებით ნიდერლანდელი—ლუიზა ფან ველზორ. ბავშვი ვოტ პირველ-დაწყებით განათლებას ბრუკლინის სახალხო სკოლაში ღებულობს. მალე იძულებული ხდება თავი მანებოს სკოლას. ადამიანს არსად იმდენი მრავალფეროვანი სამოქმედო ასპარეზი არა აქვს, როგორც ამერიკაში. აქ ადამიანი — ხუთ პროფესიას მაინც სცდის. უიტმანი ვექილის თანაშემწეა. სულ მალე პროფესიას იცვლის: ფერშობს. 1834 წ.—ასოთ-ამწყობია. ცოტა ხანში ისევ იცვლის ხელობას,—სკოლის გამგედ ინიშნება. 1840 წლიდან გამომცემლობის საქმეს იწყებს. ჟურნალისტობს, ნევი-ორკში გაზეთს სცემს. 1848 წ. ნევ-ორლენში მიემგზავრება. მგზავრობს. 1850 წლ. ისევ ბრუკლინს ბრუნდება. ახლა ხუროთმოძღვრებას იწყებს. 1855 წ. თავისი პოემის *Blade of grass*-ის („ბალახის ფურცელი“) პირველ ვარიანტს აქვეყნებს. თავდაპირველად 95 გვ. 1856 წ. ხელნეორედ სცემს ამავე პოემას—1860 წ. მესამე გამოცემას.

1862 წ. იწყება სამოქალაქო ომი ჩრდილო და სამხრეთ შტატებს შორის. უიტმანი ბრძოლის ველს მიაშურებს, მაგრამ არა როგორც მხედარი, არამედ დაკრილების მომვლელი. ლაზარეთებში ხანგრძლივი მუშაობა ანადგურებს მის ჯანმრთელობას. 1865 წ. ცენზურა აკრძალავს მის პოემებს „უზნეობის ქადაგებისათვის“.

1873 წ. უიტმანს დამბლა დაცემა, უიტმანი ნევეჯორსეიში ცხოვრობს 1892 წლამდის. ამავე წლის 26 მარტს ვოტ უიტმანი გარდაიცვალა. უიტმანი დიდხანს მივიწყებული იყო როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, მაგრამ მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით ევროპიული კრიტიკა დიდ ყურადღებას აქცევს ვოტ უიტმანს.

მინაწერი.

უიტმანის პოემების ინგლისურიდან თარგმნის დროს დიდ დახმარებას მიწევდა ფრლ. M. E., რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი. თარგმნის დროს ვიშეელიებდი შემდეგს გამოცემებს:

Hans Reisiger. Whitmans Grasshalme. ბერლინი, 1924.

პოემის: „მძინარენის“ ფრანგულ ტექსტს:

Les dormeurs, version nouvelle.

Paris, 1923.

მთარგმნელი.

შინაარსი:

| | გვ. |
|--|-------|
| 1. ვორჟ უიტმანი—მომავლის პოეტი კ. გ. | 5—15 |
| 2. მე.—თევზის მსგავსი პავმანოკის ვარ ნაშიერი | 16—17 |
| 3. მინდა გავხადო კონტინენტი განუყოფელი | 18 |
| 4. სალამი სამყაროს | 19—34 |
| 5. მკითხავდა ბავშვი: „რაა ბალახი?“ | 35—37 |
| 6. ჰიმნები სიხარულისადმი | 38—49 |
| 7. ვის უნდა ტანი ამ მამაკაცის? | 50—53 |
| 8. მგზავრო უცნობო, გზაში გამვლელო! | 54 |
| 9. ვითა ადამი | 55 |
| 10. Excelsior | 56—57 |
| 11. ასე მგონია | 57 |
| 12. ძლევა, ერთობა, რწმენა, დრო და იგივეობა | 58—59 |
| 13. ბოუკლინის ხიღზე. | 60—70 |
| 14. მძინარენი | 71—75 |
| 15. დიდია ჩემთვის ხილულეთი | 76 |
| 16. შენ ხომ გაჰბედავ, სულო ჩემო | 77 |
| 17. ნათელი შუალამე | 78 |
| 18. მომვლელი | 79—82 |
| 19. არ შემრჩენია არც სიჭაბუკე | 83 |
| 20. მობეცი მღუმარე, ვარვარა მზე | 84—86 |
| 21. მშვიდობით! | 87—89 |
| 22. ბიოგრაფიის მაგიერ | 90—91 |

წარწერა: ლეჟავასი.

უიტმანის სურათი—ნახატი გ. სილამონ-ერისთავისა.